პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 216 (19957) შაბათი, 19 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

17 სექტემბერს გამართულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და ძირითადად მოიწონა სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების დებულების პროექტი. დებულებით გათვალისწინებულია, რომ სახალხო მეურნეობის სრული სამეურნეო ანგარიშით და თვითდაფინანსებით მომუშავე ძირითადი რგოლის ამ უდიდესი ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ერთი ან რამდენიმე დარგის საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება შეიძლება იყოს საერთო-საკავშირო ან რეგიონული. მისი შემადგენელი საწარმოები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და ხელმძღვანელობენ თავიანთ საქმიანობაში სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონით. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების მართვას დემოკრატიულ საფუძველზე განახორციელებენ დირექტორთა საბჭო და გენერალური დირექტორი, რომელსაც ეს საბჭო აირჩევს. მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები ქმნიან შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საბჭოს.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს ქვეყნის ქიმიურ-სატყეო კომპლექსის დარგების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი. მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას მთავრობის მუდმივმოქმედი ორგანო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ბიურო. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააფართოოს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის მასშტაბი, უფრო სრულად დაკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილება პროგრესულ სახეობათა ქიმიურ, ნავთობქიმიურ, ცელულოზა-ქაღალდის, ხის დამუშავების სამედიცინო და მიკრობიოლოგიურ პროდუქციაზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის - მითითებათა შესაბამისად სხდომამ განიხილა და ძირითადად მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სამეცნიერო ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ". როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული დადგენილებაში, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის დებულებებით.

დასახულია უწყება-სამინისტროთა მიერ სამეცნიერო ორგანიზაციების შენახვის დაფინანსებიდან გადავიდეთ უშუალოდ შემკვეთის მიერ მეცნიერული ნამუშევრების დაფინანსებაზე იმ გზით, რომ დაიდოს სამეურნეო ხელშეკრულებანი და ანაზღაურდეს სამუშაოები მათი შესრულების შემდეგ.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ სამეცნიერო ორგანიზაციათა გადაყვანა მუშაობის ახალ პირობებზე განსაორციელონ ვადებში, რომლებიც დაწესებულია სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სახალხო მეურნეობის დარგების გაერთიანებათა და საწარმოთა გადასაყვანად, აგრეთვე აკადემიის სისტემისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სხდომაზე განსაზღვრა მეურნეობრიობის ახალ პირობებში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფის დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს სოციალისტური, განვითარებადი და კაპიტალისტური ქვეყნების ორგანიზაციებთან უწყებათაშორისო ურთიერთობების, მოკავშირე რესპუბლიკების, გაერთიანებებისა და საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობის გააქტიურებას. მხარი დაუჭირეს წინადადებებს იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ორგანიზაციათა უფლებები საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მისაღებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ეროვნულ-სახელმწიფო დელეგაციამ ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, მართვა-გამგეობის კონსტიტუციურ ფორმებზე, სახალხო ხელისუფლებაზე გადასვლა წარმოადგენს ეთიოპიის ხალხის ცხოვრების ისტორიულ მოვლენას და მოასწავებს ეთიოპიის რევოლუციის განვითარების ახალ ეტაპს.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, პრეზიდენტ მენგისტუ ჰაილე მარიამთან და ეთიოპიის სხვა ხელმძღვანელებთან გამართულმა საუბრებმა, რომლებიც ამხანაგური ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა პოზიციების ერთიანობა თანამედროვე მსოფლიოს საკვანძო პრობლემებთან დაკავშირებით, ორმხრივი მისწრაფება — განვავითარონ და განამტკიცონ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები

მ. ს. გორბაჩოვი

ამ დღეებში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკვე 42-ე სესია. სწორედ ეს ფაქტი გახდა ამ სტატიის საბაბი.

ობიექტური პროცესები იწვევენ იმას, რომ ჩვენი რთული და მრავალფეროვანი მსოფლიო სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება. და მას სულ უფრო მეტად სჭირდება მექანიზმი, რომელსაც უნარი შესწევს წარმომადგენლობით დონეზე პასუხისმგებლურად განიხილოს მისი საერთო პრობლემები, იყოს სახელმწიფოთა და ერთა თანამედროვე გაერთიანების სხვადასხვა, წინააღმდეგობრივი, მაგრამ რეალური ინტერესების ბალანსის ერთობლივი ძიების ადგილი. ასეთი მექანიზმი იდეითა და თავისი წარმომობით უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. დარწმუნებული ვართ, რომ მას შეუძლია ამ როლის შესრულება. აი, რატომ არის, რომ შემოდგომის პირველ დღეებში, როცა დამთავრდა შვებულებების პერიოდი და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრება სწრაფად აქტიურდება, როცა შეინიშნება განიარაღების დარგში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა, ჩვენ, საბჭოთა ხელმძღვანელობაში, სასარგებლოდ მივიჩნიეთ გავეგზიარებინა აზრი XX საუკუნის დამლევის მსოფლიო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე. ეს მით უფრო უპრიანად გვეჩვენება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია ეძღვნება ამ პოლიტიკის მეტად დიდ ასპექტებს.

ბუნებრივია, რომ ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის წინა პლანზეა სურვილი გავერკვეთ, როგორ გამოიყურება ახლა, სკკპ XXVII კონგრესიდან წლინახევრის შემდეგ მასზე წამოყენებული **საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის** შექმნის იდეა. ამ იდეას მხარი დაუჭირა მრავალმა სახელმწიფომ. აქტიური თანაავტორები არიან ჩვენი მეგობრები — სოციალისტური ქვეყნები, მიუმხრობლობის მოძრაობის მონაწილენი.

ეს სტატია უწინარესად ეხება იმას, თუ როგორ ვუდგებით ჩვენ ასეთი სისტემის ჩამოყალიბებას. ამავე დროს, იგი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიწვევაც აზრთა გაზიარებისათვის.

I.

XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ახასიათებს თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით რეოლუციური ცვლილებები ყოფიერების მატერიალურ საფუძველში. თავის ისტორიაში კაცობრობამ პირველად შეძლო გადაეტარა მრავალი პრობლემა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ამუშუჭებდა მის პროგრესს. არსებული და ხელახლა შესაქმნელი რესურსებისა და ტექნოლოგიის თვალსაზრისით არაფერი ხელს არ გვიშლის, რომ გამოვკვებოთ, გახათლება მივცეთ, ბინით უზრუნველვყოთ და ჯანმრთელობა შეუნარჩუნოთ მრავალმილიარდიან მოსახლეობას. ამა თუ იმ ხალხებისა და ქვეყნების აშკარა განსხვავებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, მთლიანად დაისახა პერსპექტივი, რომ დედამიწის მცხოვრებნი უზრუნველვყოთ ღირსეული ცხოვრების პირობებით.

ამავე დროს წარმოიშვა საშიშრება, რომელიც საეჭვოს ხდის ადამიანთა მოდგმის თვით უკვდავებას. ამიტომ საჭიროა საერთო ცხოვრების ახალი წესები ჩვენს უნიკალურ პლანეტაზე, რომლებიც შეესაბამება ახალ მოთხოვნილებებსა და შეცვლილ პირობებს.

სამწუხაროდ, ბევრი გვლენიანი ძალა კვლავ იცავს მოძველებულ წარმოდგენებს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. ამის შედეგად მსოფლიო ხდება აბსურდულ სიტუაციაში, როცა ცდილობს იგი დაბეჯითებით დაარწმუნონ, რომ უფსკრულისაკენ მიმავალი გზა ყველაზე უტყუარია. სხვანაირად ნელია შევაფასოთ თვალსაზრისი, თითქოს ბირთვული იარაღი საშუალებას იძლეოდეს თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი. მისი უარყოფა ადვილი არ არის სწორედ იმიტომ, რომ იგი სრულიად დაუმტკიცებელია. ხომ ხდება ხოლმე საკამათო ის, რაც აქიომაა: რაკი ბირთვული იარაღის გაჩენის შემდეგ მსოფლიო ომი არ ყოფილა, მაშასადამე, სწორედ ამ იარაღმა აგვაცილა იგი თავიდან. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მსოფლიო ომის თავიდან აცილება შეეძლო ბირთვული იარაღის არსებობის მიუხედავად.

ოდესღაც მხარეებს ჰქონდა რამდენიმე ათეული ატომური ბომბი, შემდეგ გაჩნდა ასობით ბირთვული რაკეტა, და, ბოლოს, არსენალები გაიზარდა რამდენიმე ათას ბირთვულ ქობინამდე. ამას წინათ კი საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები სპეციალურად სწავლობდნენ სტრატეგიული სტაბილურობისა და ბირთვული არსენალების ოდენობის ურთიერთკავშირის საკითხს და გამოიტანეს ერთიანი აზრი, რომ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთელი ბირთვული შეიარაღების 95 პროცენტის ლიკვიდაცია, რაც არაფრით არ დაარღვევს სტაბილურობას. მომაკვდინებელი არგუმენტია „ბირთვული შეკავების" სტრატეგიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოშობს უგნური ლოგიკას. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ 5 პროცენტიც არ უნდა დავტოვოთ. და მაშინ თვისებრივად სხვანაირი სტაბილურობა იქნება.

ჩვენ არა გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ვინმეს ჭკუა ვასწავლოთ, და როცა მოგხვდით, როდინ ფუჭია მსოფლიოში საშიში სიტუაციის მხოლოდ კონსტატაცია, დავიწყეთ პასუხის ძებნა იმ კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა დღეს შეიქმნას ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც არ შექმნის მსოფლიო კატასტროფის საფრთხეს.

ასეთ მიდგომას საფუძვლად ედო ის წარმოდგენები, რომლებიც შეიქმნა, როცა ვამუშავებდით ახალ პოლიტიკურ აზროვნებას, რომელიც გამსჭვალულია გარემოსა და გარშემო მიმდინარე მოვლენების, საკუთარი თავის რეალისტური ხედვით და რომელიც გამოირჩევა მიუკერძოებელი დამოკიდებულებით სხვებისადმი და საკუთარი პასუხისმგებლობისა და უშიშროების გაგებით.

ახალი აზროვნება — ეს არის აგრეთვე სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავების ლიკვიდაცია. და ჩვენ შევუდექით საქმეს. რაკი დარწმუნებული ვიყავით, რომ ბირთვული იარაღი უდიდესი ბოროტება და ყველაზე საშინელი საფრთხეა, გამოვაცხადეთ ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმი, რომელსაც ვიცავდით, პირდაპირ გეტყვით, იმაზე მეტ ხანს, ვიდრე შეგვეძლო... შემდეგ იყო 1986 წლის 15 იანვრის განცხადება, რომელშიც ჩამოყალიბდა ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის კონკრეტული პროგრამა. რეიკიავიკში პრეზიდენტ რეიგანთან შეხვედრაზე ჩვენ თითქმის შევთანხმდით, რომ სასურველი და შესაძლებელია სრული ბირთვული განიარაღება. და შემდეგ გადავდგით ნაბიჯები, რომლებმაც მეტი შესაძლებლობა მოგვცა მივაღწიოთ ბირთვული შეიარაღების ორი კლასის — საშუალო სიშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებას.

ჩვენი აზრით, იგი შესაძლებელი და რეალურია. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დაადგა პოზიციას, რომელიც გარკვეულწილად ხელს უწყობს ამას. საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს იმით, რომ შესაბამისი ხელშეკრულების შემუშავება შესაძლებელია მიმდინარე წლის დამლევამდე. მის შესაძლო ღირსებებზე ბევრი რამ ითქვა. აღარ გავიმეორებ ყველაფერს. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ იგი საგრძნობ დარტყმას მიაყენებდა ბირთვული იარაღის შეზღუდული გამოყენებისა და ბირთვული კონფლიქტის ეგრეთ წოდებული „კონტროლს დაქვემდებარებული ესკალაციის" კონცეფციებს. ილუზორული შუალედური ვარიანტები არ არსებობს. სიტუაცია უფრო სტაბილური ხდება.

საშუალო სიშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულება იმის კარგი პრეცედენტი იქნებოდა, რომ მოხდეს ძვრა მოლაპარაკებაზე, რომელიც შეეხება **რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების მკაცრი დაცვის პირობებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების** დიდ ორმოცდაათპროცენტიან შემცირებას. ვფიქრობ, თუ ორივე მხარე მოისურვებს, ეს მოგვება შეიძლება რეალობად იქცეს უკვე მომავალი წლის პირველ ნახევარში.

როცა უბირთვო მსოფლიოსაკენ წინსვლაზე ვფიქრობთ, უკვე ახლა უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, როგორ უზრუნველვყოთ განიარაღების პროცესის უშიშროება, მის ყოველ ეტაპზე, და უნდა ვიფიქროთ არა მარტო ამაზე, არამედ მოვრიგდეთ კიდეც **უბირთვო შეიარაღების** მკვეთრად შემცირებულ დონეზე მშვიდობის შენარჩუნების მექანიზმების შესახებ.

ყველა ეს საკითხი შეტანილია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის შესახებ წინადადებებში, რომლებიც სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად წამოვაყენეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორ გვაქვს წარმოდგენილი იგი?

ჩვენ მიერ წამოყენებული უშიშროების პროექტი ითვალისწინებს უწინარესად მემკვიდრეობითობასა და თანხმობას მშვიდობის დაცვის არსებულ ინსტიტუტებთან, სისტემა შეიძლება ფუნქციონირებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. როგორც გვგონია, მის ქმედითობას უზრუნველყოფს წესდების მოთხოვნათა მკაცრი დაცვა, სახელმწიფოთა დამატებითი ცალმხრივი ვალდებულებანი, აგრეთვე ყველა სფეროში — სამხედრო-პოლიტიკური იქნება ეს, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული და სხვა — ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ღონისძიებანი.

წინასწარ ვერ ვიტყვი, თუ ზუსტად როგორი იქნება საბოლოო სახით ყოვლისმომცველი უშიშროების სისტემა. ერთი რამ კი ცხადია, რომ იგი შეიძლება რეალობად იქცეს მხოლოდ მაშინ, თუ გავანადგურებთ მასობრივი მოსპობის ყველა საშუალებას. ჩვენ წინადადებას ვაყენებთ, რომ ყოველივე ამაზე იფიქროს ექსპერტთა და სპეციალისტთა დამოუკიდებელმა კომისიამ, რომელიც თავის დასკვნებს წარუდგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს შეუძლიათ უკვე ახლა იკისრონ ვალდებულებანი საერთაშორისო უშიშროების დარგში. ბევრი სახელმწიფო ასეც იქცევა. როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ განაცხადეს, რომ პირველები არ გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს. მეორე მაგალითია საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებანი ბირთვული შეიარაღების თაობაზე. ისინი შეიცავს შეგნებულ არჩევანს სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის ყველაზე მგრძნობიარე სფეროში შეკავებისა და თვითშეზღუდვის სასარგებლოდ. რას წარმოადგენს ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ? სახელმწიფოთა დიდი პასუხისმგებლობის უნიკალურ მაგალითს.

ჩვენს თანამედროვე სინამდვილეში უკვე არსებობენ „აგურები", რომლებითაც შეიძლება აიგოს უშიშროების მომავალი სისტემა.

საერთაშორისო საქმეთა გონივრული, პასუხისმგებლური და რაციონალური ორგანიზაციის სფერო, თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც ფართოვდება ჩვენ თვალწინ. წესდება გულისხმიერების, საჯაროობის, ნაკისრი ვალდებულებათა ურთიერთშემოწმებისა და კონტროლის მოცულობისა და სიღრმის წინათ უცნობი სტანდარტები. ამერიკის საინსპექციო ჯგუფი ჩადის რაიონში, სადაც მიმდინარეობდა საბჭოთა ჯარების წვრთნა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა ჯგუფი ათვალიერებს კრასნოიარსკის რადიოსალოკაციო სადგურს. ამერიკელი მეცნიერები დგამენ და აწყობენ თავიანთ ხელსაწყოებს საბჭოთა კავშირის ბირთვული პოლიგონის რაიონში. საბჭოთა და ამერიკელი მეთვალყურენი ესწრებიან ერთმანეთის ჯარების წვრთნას. ქვეყნდება ჰელსინკის პროცესის ფარგლებში მორიგებათა შესაბამისად სამხედრო საქმიანობის წლიური გეგმები.

არა მგონია სიტუაციის შეცვლის დამადასტურებლად შეიძლებოდეს იმაზე უფრო სარწმუნო და შთამბეჭდავი არგუმენტის მოყვანა, ვიდრე ის განცხადებაა, რომ ბირთვული სახელმწიფო ზზაე არის ნებაყოფლობით თქვას უარი ბირთვულ იარაღზე. იმის მომბეზობა, რომ ჩვენ გვსურს იგი შევცვალოთ ჩვეულებრივი შეიარაღებით, რომლის მიხედვით ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას შორის დისბალანსია ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, გაუმართლებელია. თუ დისბალანსი, დისპროპორცია არსებობს, მოდით, აღმოვფხვრათ ისინი. ჩვენ ამას განუწყვეტლივ ვიმეორებთ, დავსახეთ ამ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული მეთოდები.

საბჭოთა კავშირი ყველა ამ საკითხში პიონერია, რითაც ცხადყოფს, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია.

თავდაცვის ხარჯების შედარებითობის საკითხი? ამაზე კიდევ მოგვიწევს მუშაობა. ვფიქრობ, თუ სათანადო ძალისხმევას გამოვიჩენთ, უკვე უახლოეს ორ-სამ წელიწადში შეეძლებთ ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის საინტერესო ციფრების შედარებას, რომლებიც სიმეტრიულად ასახავს მხარეების ხარჯებს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ, ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენცია, რომელიც დაუ უნდა დაიდოს, დარწმუნებული ვარ, გააძლიერებენ დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისაკენ წინსვლის მომენტს.

ამ მიმართულებას ძლიერი იმპულსი შეიძლება მიანიჭოს მორიგებამ „თავდაცვითი სტრატეგიისა" და „სამხედრო საკმარისობის" შესახებ. ეს ცნებები გულისხმობს სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ისეთ სტრუქტურას, რომ საკმარისი იყოს შესაძლო აგრესიის მოსაგერებლად, მაგრამ არასაკმარისი — შეტევითი მოქმედებისათვის. ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება ბირთვული და სხვა შეტევითი იარაღის საზღვრებიდან კონტროლს დაქვემდებარებული გაყვანა, რის შემდეგაც საზღვრების გასწვრივ უნდა შეიქმნას შეთხელებული შეიარაღების ზოლები და სადმილიტარიზაციო ზონები, ასე ვთქვათ, პოტენციურ მოწინააღმდეგეებს შორის. ძირითადად კი საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ დავშალოთ სამხედრო ბლოკები და მოვსპოთ ბაზები სხვათა ტერიტორიებზე, დავაბრუნოთ შინ საზღვარგარეთ მყოფი მთელი ჯარები.

უფრო რთული საკითხია ის, თუ როგორი შეიძლება იყოს ბირთვული კონფლიქტის გაჩაღების თავიდან აცილების მექანიზმი. აქ მე ვუახლოვდები ყოვლისმომცველი უშიშროების იდეის ყველაზე ფაქიზ წერტილს. ბევრი რამ უნდა ხელახლა გავიაზროთ, მოვიფიქროთ, საბოლოოდ დავამუშაოთ. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო გაერთიანებამ უნდა შეიმუშაოს შეთანხმებული ღონისძიებანი იმ შემთხვევისათვის, თუ დაირღვევა ყოვლისმომცველი შეთანხმება ბირთვული იარაღის გამოუყენებლობისა და ლიკვიდაციის შესახებ, ან ვინმე შეეცდება დაარღვიოს ასეთი შეთანხმება. ხოლო, რაც შეეხება პოტენციურ ბირთვულ ბანდიტობას, შეიძლება და საჭიროც არის, ალბათ, წინასწარ ავწონ-დავწონოთ და მოვამზადოთ მისი თავიდან აცილების კოლექტიური ღონისძიებანი.

თუ სისტემა საკმაოდ ეფექტიანი იქნება, იგი მით უმეტეს მოგვცემს უბირთვო აგრესიის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ქმედით გარანტიებს.

სწორედ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სისტემა გულისხმობს იმ ღონისძიებათა გარკვეულობას, რომლებიც საშუალებას მისცემს უშიშროების მთავარ უნივერსალურ ორგანოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციას — უზრუნველყოს მისი შენარჩუნება საიმედოობის დონეზე.

II.

მსოფლიოს გათიშვამ ქვეყნად, რომელსაც აქვთ ბირთვული იარაღი და არა აქვთ იგი, გაყო თვით უშიშროების ცნებაც. მაგრამ ადამიანის სიცოცხლისათვის უშიშროება განუყოფელია. ამ თვალსაზრისით იგი არა მარტო პოლიტიკური, სამხედრო, იურიდიული, არამედ ზნეობრივი კატეგორიაცაა. და ეთიკის სასინჯი ქვით ვერავითარ შემოწმებას ვერ უძლებს მსჯელობა იმის შესახებ, რომ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა ომი არ არის. როგორ თუ არ არის? მსოფლიოში ათობით რეგიონალური ომი გიზგიზებს!

უზნეობა იქნება ამას მოვეკიდოთ ისე, როგორც რაღაც მეორეხარისხოვანს, მაგრამ საქმე მარტო შეუწყნარებელ ბირთვულ ქედმაღლობას როდი ეხება. ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია — ეს დიდი წინაგადადგმული ნაბიჯიც არის სახელმწიფოთა ურთიერთობის ნამდვილი დემოკრატიზაციის, მათი თანასწორობისა და თანაბარი პასუხისმგებლობის გზაზე.

(დასასრული მე-2 გვ.)

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ეკონომიკა

რედაქციაში კვლავ მოდის და მოდის სასიხარულო ცნობები რესპუბლიკის მშრომელთა მორიგ წარმატებებზე.

საოქტომბრო ნობათები

◆ **ლანჩხუთის** რაიონის სოფელ გულიანის კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა **ჩაის ფოთლის დამზადების წლიური დავალება: წარმოებას ჩაბარდა 1.200 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული გეგმით გათვალისწინებული 1.170 ტონის ნაცვლად.**

კარგი მაჩვენებლები აქვთ ბრიგადებს, რომლებსაც მ. ჯიჯიეშვილი, ს. მექვაბიშვილი და ვ. ჯიჯიეშვილი ხელმძღვანელობენ.

გულიანელები კიდევ სულ ცოტა 200 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ვარაუდობენ.

▼▼

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელებმა შეასრულეს ბოსტნეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა — 900-ის ნაცვლად დაამზადეს 920 ტონა ხარისხოვანი ბოსტნეული.

განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფელ როხის ლენინის სახელობის, წითელხევის რუსთაველის და ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებმა.

▼▼

ქასპის რაიონის დოესის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური დავალება შეასრულეს. 180 ტონის ნაცვლად დამზადებულია 188 ტონა რძე.

მეურნეობის მოწინავე მწველავმა, აქაური კომკავშირელების წინამძღოლმა ლია ბარჯაძემ გადაწყვიტა წლეულს პირველმა გადალახოს რაიონში 2500-კილოგრამიანი მიჯნა და საშუალოდ ფურზე 2520 კილოგრამი რძე მიიღოს.

ოთხი სახეობის საქსოვი დაზგა დამონტაჟდა თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელში". ეს ღონისძიება გათვალისწინებული იყო საწარმოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული პროგრამით.

სიახლის დანერგვის შედეგად გაიზარდა წარმოების მოცულობა და მრავალფეროვანი გახდა პროდუქციის ასორტიმენტი.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ფაბრიკის კოლექტივი წლიურ გეგმას შეასრულებს.

ამ სურათზე აღბეჭდილი მქარგავი ციცინო მაისურაძე ერთ-ერთი პირველთაგანი დაეუფლა ახალ ტექნიკას და ნაყოფიერადაც შრომობს.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

18 სექტემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო.

განიხილეს სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის შესრულებისათვის აზერბაიჯანის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ნ. სეიდოვმა. მოისმინეს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის თავმჯდომარის თ. ა. ტაბეევის თანამოხსენება.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ბ. ტალეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები — ვლადიმირის ოლქის ვიაზნიკოვის საწარმოო გაერთიანების მქსოველი რ. ა. გავრილოვა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. ანანიკინი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი კ. ზ. ტერეხი.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა გარდაქმნის პირობებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის ამაღლებისათვის ვოლგოგრადის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი. მოისმინეს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. ორლოვის მოხსენება.

დეპუტატთა სახელით, რომლებიც გაეცნენ ადგილზე საქმის ვითარებას, ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სახალხო გახათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის წევრმა, სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ნ. ბალანდინმა.

კამათში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს ტარაზევიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გ. მ. ეგოროვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ვ. გ. ზახაროვი, რუსეთის რსფსრ კულტურის მინისტრი ი. ს. ძელენტიევი.

განხილული საკითხების გამო მიიღეს დადგენილებები, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდება.

პრეზიდიუმის სხდომაზე მიიღეს დადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის მოწვევის შესახებ, აგრეთვე განიხილეს ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ვ. შჩერბიცკი, ბ. ნ. ელცინი, ი. ფ. სოლოვიოვი. (სატდესი).

საშემოდგომო თესვა

დმანისი (საკ. კორ.). საშემოდგომო ხორბლის თესვა რაიონში პირველებმა გომარეთის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორებმა ავთანდილ რაზმაძემ, ვასილ თედიაშვილმა და ვალიკო ეგრისელაშვილმა დაიწყეს. ისინი თესვის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ. უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალს „უფნო—1-ს" თესავენ პროგრესულად — ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად. იმ ადგილებში კი, სადაც ძლიერი ქარები იცის, ნათესებს ტკეპნიან, რათა იგი ქარისმიერმა ეროზიამ არ დააზიანოს და მცენარე სრულყოფილად აღმოცენდეს. თესვა წინასწარ მზრ

რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები

(დასასრული)

საყოველთაო უშიშროების უცილობელი პირობაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ხალხთა იმ უფლების უთუო დაცვა, რომ სუვერენულად აირჩიონ თავიანთი განვითარების გზები და ფორმები — რევოლუციური თუ ევოლუციური. ეს ეხება სოციალური სტატუს-კვოს უფლებასაც. ესეც უაღრესად საშინაო საქმეა. უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცდები — ზემოქმედებას ახდენდნენ „არასაკუთარი“ ქვეყნების განვითარებაზე, ერეოდნენ მასში. ასევე დაუშვებელია არსებულ მთავრობათა გარეთან დესტაბილიზაციის ცდებიც.

ამავე დროს მსოფლიო გაერთიანება განზე ვერ განუდგება სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს. აქ შეიძლება დავიწყოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის იმ წინადადების რეალიზაციით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეიქმნას ომის საშიშროების შემცირების მრავალმხრივი ცენტრი. როგორც ჩანს, ღირს აგწონ-დაგწონოთ რამდენად მიზანშეწონილია შეიქმნას პირდაპირი კავშირის ხაზი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინასა და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებს შორის, აგრეთვე მიუმხრომლობის მოძრაობის თავმჯობარი ქვეყნების ადგილსამყოფელთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შეიძლება შეიქმნას მექანიზმი, რომელიც ფართო საერთაშორისო კონტროლს დაუწესებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებათა შესრულებასა და კონფლიქტურ რაიონებში საომარ ვითარებას. მექანიზმი იმოქმედებს ისე, რომ გამოიყენოს კონტროლის სხვადასხვა ფორმა და მეთოდები ინფორმაციის შეგროვებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი ოპერატიული წარდგენისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ მიმდინარე მოვლენათა ობიექტური სურათი, დროულად გამოვავლინოთ საომარი მოქმედებისათვის მზადება, გავაძლეოთ მოულოდნელი თავდასხმა, განვახორციელოთ საომარი კონფლიქტის, მისი გაფართოებისა და გამწვავების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

გამოგაქვს დასკვნა, რომ მტრულად განწყობილი მხარეების ჯარების დაშორიშორების, ცეცხლის შეწყვეტისადმი და დაზავების შეთანხმებებისადმი მეთვალყურეობის მიზნით ფართოდ უნდა გამოიყენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის შეიარაღებული ძალების ინსტიტუტი.

რა თქმა უნდა, კონფლიქტის ყველა სტადიაში ფართოდ უნდა ვიყენებდეთ სახელმწიფოთა დავისა და უთანხმოების მშვიდობიანი მოწესრიგების ყველა საშუალებას, ვთავაზობდეთ კეთილ სამსახურს, შუამავლობას დაზავების მოწვევაში. ნაყოფიერად მიგვაჩნია იდეები და ინიციატივები არასამთავრობო კომისიებისა და ჯგუფების შექმნის თაობაზე, რომლებიც გააანალიზებენ ამა თუ იმ კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციების მიზეზებს, გარემოებებსა და მათი მოწესრიგების მეთოდებს.

რეგიონალური უშიშროების გარანტები შეიძლება გახდნენ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები, რომლებიც, თავისი მხრივ, იკისრებენ ვალდებულებას არ გამოიყენონ ძალა ან ძალის გამოყენებით დამუქრება, უარი თქვან დემონსტრაციულ სამხედრო ყოფნაზე, რადგან ასეთი პრაქტიკა რეგიონალური კონფლიქტების გაღვივების ერთ-ერთი ფაქტორია.

უაღრესად საჭიროა კარდინალურად გაძლიერდეს და გაფართოვდეს სახელმწიფოთა თანამშრომლობა საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრაში. მიზანშეწონილია ეს საქმე მთლიანად მოვაქციოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება მისი ეგიდით შეიქმნას საერთაშორისო ტერორიზმის აქტების გამოძიების ტრიბუნალი.

გამართლებული იქნება მეტი თანხმობაც აპარტეიდის, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ერთ-ერთი მადესტაბილიზებელი ფაქტორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველა აღნიშნული ღონისძიება, ჩვენი აზრით, შეიძლება ორგანულად შეერწყას მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველ სისტემას.

III.

უკანასკნელი ათწლეულების მოვლენებმა და ტენდენციებმა გააფართოვა ეს ცნება და ახალი ნიშნები და თვისებურებანი მიანიჭა მას. ერთ-ერთი მათგანია ეკონომიკური უშიშროების პრობლემა. უსაფრთხო არ არის მსოფლიო, სადაც შიმშილით სიკვდილის პირას შეიძლება აღმოჩნდეს მთელი კონტინენტი, ხოლო ადამიანთა უდიდესი მასები თითქმის პერმანენტულად შიმშილობენ. უსაფრთხო არ არის მსოფლიო, სადაც მრავალი ქვეყანა და ხალხი სულს ღაფავს ვალების მარწუხში.

ამა თუ იმ ქვეყნის ან მათი მთელი ჯგუფების ეკონომიკური ინტერესები მართლაც იმდენად განსხვავებული და წინააღმდეგობრივია, რომ კონსენსუსი ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესის კონცეფციის მიმართ ძნელად მისაღწევად წარმოგვიდგენია. მაგრამ აქაც, იმედი გვაქვს, უნდა ამოქმედდეს თვითდაცვის ინსტინქტი. იგი უთუოდ გამოვლინდება, თუ გავერკვევით პრიორიტეტების ჯაჭვში და დავინახავთ, რომ არსებობს თავისი გარდუვალობით მრისხანე ვითარებები და დროა უარი ვთქვათ დახავსებულ პოლიტიკურ შეგნებაზე, საზღვარგარეთის სამყაროს შესახებ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებულ შეხედულებებზე. იგი აღარ არის დიდი და ძლიერი ქვეყნებისათვის მაბულებისა და „საარსებო ინტერესების“ ზონების გაყოფის სფერო.

დროის იმპერატივები გვიბრძანებენ პოლიტიკად გამოვაცხადოთ ცხოვრებისეული საღი აზრის მრავალი ნორმა. სრულიადაც არ არის ფილანთროპიით ნაკარნახევი ჩვენი წინადადება შევთანხმდეთ ნაკლებგანვითარებული ქვეყნებისათვის ბანკის კრედიტებზე პროცენტული გადასახდელების შემცირებისა და დამატებითი შეღავათების შემუშავების შესახებ. ეს ყველას ჰპირდება სარგებელს, რომელსაც უსაფრთხო მომავალი ჰქვია. თუ შემსუბუქდება განვითარებადი სამყაროს ვალის ტვირთი, მოიმატებს ასეთი მომავლის შანსი. აქ შესაძლებელია ისიც, რომ შეიზღუდოს თითოეული განვითარებადი ქვეყნის ვალის გადასახდელები მისი ყოველწლიური საექსპორტო ამონაგების წილით განვითარებისათვის ზარალის მიუყენებლად, და დავალიანება დაიფაროს საექსპორტო საქონლით, აღმოიფხვრას პროტექციონისტული ბარიერები კრედიტორი ქვეყნების საზღვრებზე, გაუქმდეს დამატებითი პროცენტების დარიცხვა გადასახდელების გადავადების დროს.

დამოკიდებულება ამ წინადადებებისადმი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. მაგრამ, ეშვი არ მეპარება, რომ მსოფლიო გაერთიანების წევრთა უმრავლესობა შეიგნებს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივი მოქმედება განვითარებადი სამყაროს დავალიანების ტვირთის შესამსუბუქებლად. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლებოდა ერთად მოგვეძიება ზეი პროგრამის შემუშავებისათვის.

ეს სიტყვა — „ერთად“ — ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოსათვის. განიარაღებისა და განვითარების ურთიერთკავშირი, რაც ნიუ-იორკში გამართულ ამასწინანდელ საერთაშორისო კონფერენციაზე დადასტურდა, შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს, თუ ძლიერთაგან და მდიდართაგან განზე არავინ დარჩება. მე უკვე მომიხდა აზრის გამოთქმა იმის თაობაზე, რომ უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი უმაღლესი წარმომადგენლების სახით შეუძლიათ ერთობლივად იმსჯელონ ამ პრობლემაზე და გამოიმუშაონ შეთანხმებული მიდგომა. ვადასტურებ ამ წინადადებას.

ეკოლოგიური უშიშროება. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით საშიშია ისეთი ვითარება, რომელიც მდინარეების კალაპოტებში საწამლავის ნაკადი მოედინება, ზეციდან კი მიწას თავს ატყდება შხამიანი თავსხმა, როცა ქალაქებსა და მთელ რეგიონებს სული ეხუთებათ ინდუსტრიული და სატრანსპორტო ნარჩენებით გაჯუჯყანებულ ატმოსფეროში, როცა ატომური ენერგეტიკის განვითარება მიუღებელი რისკით მართლდება.

ამასთან ბევრმა ამის აღქმა უეცრად დაიწყო არა გონებით, არამედ ცხადად, საკუთარი მაგალითით, წინანდელი მსოფლშეგრძნებისათვის დამახასიათებელი რწმენა — ეს ჩვენ არ შეგვეხებაო, — გაქრა. ნათქვამია, გამოცდილების ერთი ეკალი ჭკუის დარიგების მთელ ტყეზე მეტი ღირსო. ასეთი ეკალი გახდა ჩვენთვის ჩერნობილი...

შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო ადამიანისა და ბუნების ურთიერთობამ. ეკოლოგიური უშიშროების პრობლემები ყველას ეხება, სიმდიდრისა და სიღარიბის მიუხედავად. საჭიროა გარემოს დაცვისა და რესურსების რაციონალური გამოყენების გლობალური სტრატეგია. ჩვენ წინადადებას ვიძლევით შეეუდგეთ აგრეთვე მის შემუშავებასაც ევროთანიანული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული პროგრამის ფარგლებში.

სახელმწიფოები უკვე ცვლიან შესაბამის ინფორმაციას, ატყობინებენ მომხდარ ამბებს საერთაშორისო ორგანიზაციებს. ეფიქრობთ, ეს წესი უნდა დავაკანონთო, რისთვისაც უნდა შემოვიღოთ პრინციპად მთავრობების ყოველწლიური ანგარიშგება ბუნებადაცვითი საქმიანობის შესახებ, აგრეთვე მათი ქვეყნების ტერიტორიაზე როგორც მომხდარი, ისე თავიდან აცილებული ეკოლოგიური ინციდენტების შესახებ.

ეკონომიკური და ეკოლოგიური უშიშროების საერთო ფრონტის გახსნის საჭიროების შეგნება და მისი ფორმირების დაწყება ნიშნავს გავაუვნებლოთ შენელებული მოქმედების ყუმბარა, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ყოფიერების წიაღში ისტორიამ, თვით ადამიანებმა ჩადეს.

IV.

ადამიანის უფლებებზე. სათითაოდ შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი დროის უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრებოდნენ. შეიძლება შემეპასუხონ, მუქარა ერთია, გამოყენება კი სხვაო. სწორია — არ გამოუყენებიათ. მაგრამ ადამიანის უფლებების ქომაგობა ვერანაირად ვერ უთავსდება საყოველთაო მოკვდინების საშუალებათა გამოყენებით მუქარას. ჩვენთვის მიუღებელია მსჯელობა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, თანაც როცა აპირებენ მის თავზე კოსმოსში ეგზოტიკურ შეიარაღებათა „ჯადების“ დაკიდებას. ამ „ეგზოტიკაში“ ჩვეულებრივია მხოლოდ მთელი კაცობრიობის დაღუპვის პოტენციური შესაძლებლობა. ყვნოფერი დანარჩენი თვალისსაამოდ არის შეფუთული.

თანახმა ვარ: არ შეიძლება საშიში არ იყოს მსოფლიო, თუ აქ ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებებს. ოღონდ დავძენ: თუ ამ მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში არ არის ადამიანის ღირსეული არსებობის ელემენტარული პირობები, თუ მილიონობით ადამიანს ენიჭება სრული „უფლება“ იშიმშილოს, არ ჰქონდეს ჭერი, იყოს უმუშევარი და რამდენიც უნდა იავადმყოფოს, რადგან უსახსრობის გამო ვერ მკურნალობს, თუ, ბოლოს და ბოლოს, არად აგდებენ ადამიანის ძირითად უფლებას — სიცოცხლის უფლებას.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ეროვნული კანონმდებლობები და ადმინისტრაციული წესები ჰუმანიტარულ დარგშიც ყველგან შეუსაბამონ საერთაშორისო ვალდებულებებსა და ნორმებს.

ამავე დროს შეიძლებოდა გადავსულიყავით ბევრი პრაქტიკული ნაბიჯის შეთანხმებაზე, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მსოფლიო საინფორმაციო პროგრამის შემუშავებაზე, რათა ხალხები გასცნობოდნენ ერთმანეთის ცხოვრებას, ოღონდ ისეთს, როგორიც ის სინამდვილეშია, და არა ისეთს, როგორიც უნდათ წარმოადგინონ. სწორედ ამიტომ ამგვარი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის ნაკადის განთავისუფლებას „მტრის სახის“ სტერეოტიპებისაგან, აკვიატებისაგან, ცრურწმენების, სულელური მოსაჩმახებებისაგან, სიმართლის წინასწარგანზრახული დამახინჯებისა და უსინდისო შებღალვისაგან.

ფრიად პერსპექტიულად გვესახება ისეთი ამოცანა, როგორიც არის ოჯახების შეერთების, დაქორწინების საკითხების ჰუმანური სულისკვეთებით გადაწყვეტის ერთიანი საერთაშორისო-სამართლებრივი კრიტერიუმების შეთანხმება, კონტაქტები ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის, სავიზო რეჟიმი და ა. შ. საწყის პუნქტად აქ უნდა ავიღოთ ამის თაობაზე სრულიად ევროპის პროცესის ფარგლებში მიღწეული შედეგები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარული თანამშრომლობის სპეციალური ფონდის შექმნას, რომელიც ჩამოყალიბდება ნებაყოფლობითი სახელმწიფო და კერძო შენატანების ხარჯზე სამხედრო ხარჯების შემცირების საფუძველზე.

სასურველია, რომ ყველა სახელმწიფო შეუერთდეს იუნესკოს კონვენციებს კულტურის დარგში, მათ შორის — კონვენციებს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, კულტურულ ღირებულებათა უკანონო შეტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და თავიდან აცილების შესახებ.

ბოლო დროის მრისხანე სიგნალებმა დღის წესრიგის პირველ პუნქტად აქცია ყველაზე საშიში დაავადებების, მათ შორის შიდსის დარგში სამედიცინო თანამშრომლობის მსოფლიო ქსელის შექმნის იდეა, აგრეთვე ბრძოლა ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკვე არსებული სტრუქტურები საშუალებას გვაძლევს შედარებით ოპერატიულად შეექმნათ ასეთი ქსელი. დიდი იდეები აქვთ ამის თაობაზე ექიმთა მსოფლიო მოძრაობის ხელმძღვანელებს.

ჰუმანიტარულ პრობლემებზე დიალოგი შეიძლება ორმხრივ საფუძველზე, უკვე ჩამოყალიბებული მოლაპარაკების ფორმებით. გარდა ამისა, ჩვენ წინადადებას ვიძლევით გავშალოთ იგი მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებშიც: წინადადება ამის შესახებ ჩვენ წამოვაყენეთ ვენის შეხვედრაზე შარშან ნოემბერში.

ძალისხმევის გაერთიანება კულტურის, მედიცინის, ჰუმანიტარული უფლებების სფეროში ყოველისმომცველი უშიშროების სისტემის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია.

V.

ყოვლისმომცველი უშიშროების შემოთავაზებული სისტემა ქმედითი იქნება იმდენად, რამდენადაც ეფექტიანად იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი უშიშროების საბჭო, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები და მექანიზმები. საჭირო იქნება არსებითად გაიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ავტორიტეტი და როლი. აშკარად იგრძნობა მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნის საჭიროება, რომელიც პერსპექტივაში იმუშავებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მჭიდრო ურთიერთობით როგორც მისი სისტემის ავტონომიური ნაწილი. საერთაშორისო პროცესების რეგულატორები უნდა გახდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებანიც. ხოლო ქვენეკის განიარაღების კონფერენცია — ფორუმი, სადაც ინტერნაციონალიზებული იქნება უბირთვო, უძალადო მსოფლიოს შექმნის ღონისძიებანი.

არ უნდა დავივიწყოთ საერთაშორისო სასამართლოს შესაძლებლობანიც. გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს შეეძლებათ უფრო ხშირად მიმართონ მას სადავო საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებზე საკონსულტაციო დასკვნებისათვის. მისი საკალდებულო იურისდიქცია უნდა ცნოს ყველამ ურთიერთშეთანხმებული პირობებით. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, — უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა უნდა გადადგან.

დარწმუნებული ვართ, რომ უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა ამავე დროს საყოველთაო მართლწესრიგის სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკაში საერთაშორისო სამართლის პრიმატს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით უშიშროების საბჭოს დიდი უფლებამოსილებანი აქვს მინიჭებული. მხოლოდ საჭიროა ერთად შეეცადოთ, რომ იგი ეფექტიანად იყენებდეს ამ უფლებებს. ამ მიზნით კარგი იქნებოდა, გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის გახსნის წინ იმართებოდეს უშიშროების საბჭოს სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე საერთაშორისო ვითარების ზოგადი შეფასებისა და მისი გაუმჯობესების ეფექტიანი გზების ერთობლივი ძიებისათვის.

სასარგებლო იქნებოდა უშიშროების საბჭოს სხდომები ეწყობოდეს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში — ნიუ-იორკში, არამედ უთანხმოებისა და დაძაბულობის რაიონებშიც, აგრეთვე რიგრიგობით საბჭოს მუდმივ წევრთა დედაქალაქებში.

საბჭოს სპეციალური მისიები არსებული და პოტენციური კონფლიქტების რაიონებში ასევე ხელს შეუწყობდნენ მისი ავტორიტეტის გამტკიცებასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის ზრდას.

დარწმუნებული ვართ, რომ რეგიონალურ ორგანიზაციებთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს. მიზანია კრიზისული სიტუაციების პოლიტიკური მოწესრიგების გზების ძიება.

ჩვენი აზრით, გენერალური ასამბლეის მუშაობის ეფექტიანობის ზრდისთვის უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს სპეციალური სესიები ყველაზე გადაუდებელი პოლიტიკური პრობლემებისა და განიარაღების ცალკეული საკითხების გამო.

ჩვენ საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს იმას, რომ კონსენსუსის საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტებს მორალურ-პოლიტიკურად უფრო მეტად სავალდებულო სტატუსი ჰქონდეს. შეგახსენებთ, რომ მათ, კერძოდ, განეკუთვნება განიარაღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სპეციალური სესიის საბოლოო დოკუმენტი, სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და მოვალეობების ქარტია და სხვები.

ჩვენი აზრით, დიდი ხანია დადგა დრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შეიქმნას მსოფლიო საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მსოფლიოს ინტელექტუალურ ელიტას გააერთიანებს. გამორჩენილ მეცნიერებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მათ შორის ნობელისა და მსოფლიო მნიშვნელობის სხვა საერთაშორისო პრემიების ლაურეატებს, ეკლესიათა თვალსაჩინო წარმომადგენლებს შეუძლიათ სერიოზულად გაამდიდრონ თანამედროვე მსოფლიო პილიტიკის სულიერი და ეთიკური პოტენციალი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი სრული სიმძლავრით რომ ამუშაგდნენ, უნდა შევიგნოთ, რომ შეუწყნარებელია ფინანსური ბერკეტების გამოყენება მასზე ზეგავლენის მოხდენისათვის. საბჭოთა კავშირი აქტიურად ითანამშრომლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოქმნილ სამიუნეოებში.

და, ბოლოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შესახებ. ამ მაღალ პოსტზე მსოფლიო გაერთიანება ირჩევს ავტორიტეტან მოღვაწეს, რომელსაც საყოველთაო ნდობა აქვს მოპოვებული. რამდენადაც გენერალური მდივანი მოქმედებს როგორც ორგანიზაციის თითოეული წევრის წარმომადგენელი, ყველა სახელმწიფო მას მაქსიმალურად უნდა უჭერდეს მხარს, ეხმარებოდეს პასუხსაგები მისიის შესრულებაში. მსოფლიო გაერთიანება უნდა ახალისებდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კეთილი სამსახურის, შუამავლობისა თუ შერიგების მისიებში.

* * *

რატომ ვსვამთ ასე მტკიცედ საკითხს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შესახებ?

იმიტომ, რომ შეუძლებელია შეურიგდე სიტუაციას, რომელშიც მსოფლიო აღმოჩნდა მესამე ათასწლეულის წინ — ეს არის მოსპობის საფრთხე, მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობა, ეჭვიანობისა და განხეთქილების ატმოსფერო, სიტუაცია, როცა უდიდესი სახსრები იხარჯება და მილიონთა შრომა და ნიჭი უნდობლობისა და შიშის ზრდას ხმარდება.

შეიძლება რამდენიც გნებავთ ვილაპარაკოთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტაზე, მილიტარიზმის ამოძირკვაზე, თანამშრომლობაზე, მაგრამ ვერაფერი შეიცვლება, თუ მოქმედებას არ დავიწყებთ.

პრობლემის პოლიტიკური და მორალური ღერძი სახელმწიფოთა და ხალხთა ნდობა ერმანეთისადმი, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ინსტიტუტების პატივისცემა. და ჩვენ მზად ვართ ცალკეულ სფეროებში ნდობის ღონისძიებებიდან გადავიდეთ ნდობის დიდი მასშტაბის პოლიტიკაზე, რომელიც თანდათანობით ჩამოაყალიბებს ყოვლისმომცველი უშიშროების სისტემას. მაგრამ ასეთ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს პოლიტიკურ განცხადებათა და რეალურ პოზიციათა ერთიანობა.

უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის იდეა ჩვენს საერთო სახლში — ჩვენს დედამიწაზე ცხოვრების შესაძლო ახლებური მოწყობის თავდაპირველი პროექტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის საშვი მომავლისაკენ, სადაც ყველას უშიშროება თითოეულის უშიშროების საწინდარი იქნება. ვიმედოვნებთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ამ იდეას ერთობლივად განვავითარებთ და დავაკონკრეტებთ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მშრომელებმა მორიგი

ახალ-მოსახლეობა იზეიმეს

საწარმოს სახსრებით აშენებულ 17-სართულიან საოჯახო საერთო საცხოვრებელში, სადაც 252 ახალგაზრდა ოჯახი შესახლდა, აქვეა კეთილმოწყობილი სამადგილიანი ნომრები. თითოეული ოჯახი აღრიცხვაზეა და ბინას საერთო რიგის მიხედვით მიიღებს.

▼▼

რას იზეიმებდა წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის საშუალო სკოლის მეათეკლასელი შალვა გოგილავა, რომ მის მიერ წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიტანილი კაჟის იარაღი და ჭურჭლის ფრაგმენტი

უნიკალური ნაპოვნი

აღმო.ჩნდებოდა. იმ ტერიტორიის დათვალიერებამ, სადაც შალვამ ზემოხსენებული ნივთი იპოვა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ნაირგვარ შრომის იარღსა და შავი კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევების გარდა ალმოჩენილია ცხენის ქანდაკების ფრაგმენტი, კოლხური სახლის ნანგრევები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი შორეული წინაპრები იმთავითვე მისდევდნენ სოფლის მეურნეობას, მეცხოველეობასა და ხელოვნებას.

▼▼

ქართველ და ვიეტნამელ ხალხებს შორის კონტაქტები, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა მრავალ სასიკეთო საქმეთა საფუძველი ხდება. ამჟამად მახარაძეში იმყოფებიან ვიეტნამელი სპეციალისტები, რომლებიც ჩაის გადამუშავების

ტექნოლოგიას ეუფლებიან

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 42 წლისთავს მიუძღვნეს მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის და ნასაკირალის აგროსამრეწველო კომბინატის მშრომელებმა შეხვედრა, რომელიც სტუმართა პატივსაცემად გაიმართა.

სიტყვები წარმოთქვეს როგორც სტუმრებმა, ასევე მასპინძლებმა.

▼▼

საკლესის ცნობა

გუშინ, 18 სექტემბერს მოსკოვის დროით 6 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა კავშირში სემიპალატინსკის რაიონის პოლიგონზე მოეწყო 20 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება სამხედრო ტექნიკის სრულყოფის მიზნით.

ახლა მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის ღრმა გარდაქმნა ფართო ასპარეზს უსახავს მასების შრომითს შემოქმედებას, სტიმულს აძლევს კოლექტივების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. თავის მხრივ, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, საწარმოთა უფლებების გაფართოება, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და სოციალისტური გერგილანობის გაძლიერება რეალურ შინაარს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს, თუ იზრდება თვით მშრომელი ადამიანის აქტიურობა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სწორედ სამეურნეოანგარიშიან კოლექტივებს აქვთ ყველაზე დიდი სტაბილური წარმატება. მაქსიმალური ეფექტი უმცირესი დანახარჯებით — აი, რას აღწევენ კოლექტივები როცა ეყრდნობიან შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ მეთოდებს. ისინი ამით ხელს უწყობენ ხარჯსაწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავებასა და ამოქმედებას, რაც დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკაში.

დღეს ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივი, მისი ხელმძღვანელი, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია სამეურნეო ანგარიშის არსის გაცნობიერებით უნდა იყოს „დამუხტული“, ამ გაგებით შრომობდეს და ცხოვრობდეს, აპრობირებული ჰქონდეს თვითანაზღაურების და თვითდაფინანსების პრინციპები მოქმედების ძირითადი ელემენტები: ერთი სიტყვით, სავსებით მზად იყოს. ახლებური მუშაობის დაწყებამდე მხოლოდ სამ თვეზე ცოტა მეტი რჩება. „ახლებურია“ ვამბობთ, თორემ ახალი სამეურნეო მექანიზმის ზოგიერთი ელემენტი ჯერ კიდევ 1985 წლიდან დაინერგა 50 სამრეწველო საწარმოში. ამიტომ, აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრების ძირითად მასას გარკვეული ორგანიზაციული ჩვევები გამოუმუშავდა, ეკონომიკურმა ექსპერიმენტებმა გაფლვივა მათ ეკონომიკური აზროვნება, დაადლევინა ფსიქოლოგიური ბარიერები, სიახლის შიში.

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 9 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ ეკონომიკურ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ არ არის საკმარისი წარმოების მოცულობის ზრდის მიღწეული ტემპი განვლილი რვა თვის მანძილზე სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის წინა პერიოდში. სამწუხაროდ, მრავალმა გაერთიანებამ, ცალკეულმა ქარხნებმა, ფაბრიკებმა, კომბინატებმა შეამცირეს წარმოების მოცულობა და სახელმწიფოს ასნილოონობით მანეთის პროდუქცია დააკლეს, გრძელდება გეგმების კორექტირების მანკიერი, დაგმობილი პრაქტიკა. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ვერ სრულდება პროდუქციის მიწოდების ვალდებულება, ვალალტებთ მომხმარებელს.

არადა, სამეურნეო ანგარიში სწორედ პროდუქციის რეალიზაციით, მისი შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დათქმული დროისათვის, სრული ნომენკლატურული მიწოდებით იწყება. სამეურნეო ხელმძღვანელებმა რომ ეს კარგად იციან, ამაში ეჭვი არავის ეპარება. გვინდა მხოლოდ შევახსენოთ ამ მხრივ ჩამორჩენილი საწარმოების კოლექტივებს, მათს ხელმძღვანელებს, რომ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობები პრინციპულად ეწინააღმდეგება ასეთ ვითარებას. თუ მომიჯნავეს დროულად და ხარისხის პარამეტრების მთლიანი დაცვით არ მიაწოდებ ნაწარმს, ვერ მიიღებ იმ შემოსავალს და მასთან ერთად მოგებას, რომლითაც ხელფასი უნდა მისცე კოლექტივს, გაფარფოო წარმოება, შეიძინო თანამედროვე ტექნიკა, შექმნა მატერიალური სტიმულირებისა და სხვა ფონდები, ეს მეურნეობრიობის, ნამუშევრების, ანაბანაა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიმდინარე წლის ივლისში გამართულ თათბირზე, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ სრულდება სამამულო მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აღინიშნა, რომ იქ, სადაც მტკიცედ აღრმავებენ გარდაქმნას, ამკვიდრებენ ახალ სტილს, აძლიერებენ საკადრო პოტენციალს, სწავლობენ ახლებურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აზროვნებას, ყველა სიძნელის მიუხედავად, პროგრესს აღწევენ. იქ არავინ არ არის დანაღვლანებული იმის გამო, რომ აუცილებლად საჭიროა ასი პროცენტით შეასრულონ ხელშეკრულება და დაძაბული დავალებანი ყველა სახეობის მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის მიხედვით.

საბედნიეროდ, ჩვენს რესპუბლიკაშიც არის საწარმოები, რომლებიც ექსპერიმენტის სახით გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე და აღწევენ კიდეც მიზანს. **მათ შორის სახელმძღვანელებ თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას და 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებას.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე ისიც ითქვა, რომ ამ გაერთიანებების გამოცდილება ჟმტიურად უნდა გავავრცელოთ. **ხელშესახები შედეგები აქვს ამ მხრივ აგრეთვე „საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებას.**

მართალია, „საქსამთოქიმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებისა და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივები ჯერ არ გადასულან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, მაგრამ მათ საამისოდ კარგი წანამძღვრები შექმნეს. მთლიანად **იცავენ სახელშეკრულებო დისციპლინას, მუშაობენ ყაირათიანად, მკვეთრად აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, მაქსიმალურად იყენებენ მოწყობილობის შესაძლებლობებსა და მთლ

ნ. ი. რიჟკოვი ესაუბრა ფ. პონსს

17 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა კრემლში მიიღო ესპანეთის გენერალური კორტესების დეპუტატთა კონგრესის თავმჯდომარე ფ. პონსი, რომელიც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით სსრ კავშირში ჩასულ ესპანეთის პარლამენტის დელეგაციას.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობის არსებითი განვითარების გამო. ჩვენს ქვეყნებს შორის არ არის სადავო პრობლემები. ნ. ი. რიჟკოვმა ხაზი გაუსვა, რომ ესპანეთთან ურთიერთობას საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში ღირსეული ადგილი უკავია, იგი სულ უფრო აქტიური ხდება, და ჩვენ ესპანეთთან საერთო ენას ვპოულობთ ბევრ საკითხში. დაძაბულობის შენელების, განიარაღების თემები, უდავოდ, სენტრალურია ესპანეთის წარმომადგენლებთან ჩვენს საუბრებში. და ეს შემთხვევითი როდია. ორივე ჩვენი ქვეყანა დაინტერესებულია მშვიდობით, იმით, რომ წარსულს ჩაბარდეს ისეთი ცნებები, როგორიც არის კონფრონტაცია, მტრობა, უნდობლობა. ბრძოლა-ყოსმოსურ ეპოქაში გამალებული შეიარაღება კაცობრიობას უქადის დაღუპვას და იგი ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

საბჭოთა კავშირი იბრძვის საბჭოთა კავშირ-ესპანეთის სავაჭრო-ეკონომიკური გაცვლის უფრო დინამიკური განვითარებისათვის. ამ დარგში კარგი ტემპია აღებული, მაგრამ საჭიროა მისი დაჩქარება.

ფ. პონსმა თავის მხრივ აგრეთვე აზრი გამოთქვა ესპანეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეუნელებელი განვითარების სასარგებლოდ. საჭიროა იმის ახსნღაურება, რაც ხელიდან გავუშვით ურთიერთგაუცხოების ორმოცი წლის მანძილზე. ერთმანეთის უკეთ ცოდნა ნდობისა და თანამშრომლობის საიმედო გზაა.

საუბარმა მეგობრულ, კოსტრუქციულ ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

ბ. ი. ქაჯაია

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მძიმე დანაკლისი განიცადა — ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიის ჩხოროწყუს რაიონის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1965 წლიდან სკკპ წევრი კარლო ილიას ძე ქაჯაია.

კ. ი. ქაჯაია დაიბადა 1939 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოში გლეხის ოჯახში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო მშობლიურ სოფელში კოლმეურნეობის უფროს აგრონომად. 1967 წელს კ. ქაჯაია გადაიყვანეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში, სადაც მუშაობდა უფროს აგრონომად, შემდეგ კი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. სამინისტროს აპარატში მუშაობის დროს კ. ი. ქაჯაია არჩეული იყო პარტკომის მდივნის მოადგილედ, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

1974 წელს კ. ი. ქაჯაია დაინიშნა ექსპერიმენტის წესით ახლად შექმნილი აბაშის სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარედ — აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შესრულებლად.

1976 წელს კ. ი. ქაჯაია გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორად. იმავე წელს იგი აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიონის პირველ მდივნად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

კ. ი. ქაჯაია იყო საქართველოს კომპარტიის XXVI და XXVII ყრილობების დელეგატი, საქართველოს სსრ X და XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მდიდარი გამოცდილება კ. ქაჯაიამ მოახმარა ხალხის სამსახურს, კომუნისტური პარტიის საქმეს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს მისი დამსახურება რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლით.

კ. ი. ქაჯაია იყო ყურადღებიანი, გულისხმიერი ამხანაგი, შესანიშნავი მორალური თვისებებისა და სულიერად მომხიბლავი კაცი. პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად მუშაობისას მან გამოავლინა დიდი კომპეტენტურობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, უნარი დაერაზმა კომუნისტები, მშრომელები რაიონის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის აღმავლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ბევრი რამ გააკეთა რაიონის სოციალურ და კულტურულ სფეროში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

უდიდესმა შრომისმოყვარეობამ, რომელიც შეხამებული იყო პრინციპულობასთან, პატიოსნებასა და თავმდაბლობასთან, კ. ი. ქაჯაიას დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა რაიონის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივს შორის.

შესანიშნავი პარტიული მუშაკისა და ღირსეული მოქალაქის კ. ი. ქაჯაიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, ბ. ა. ანჩაბაძე, პ. ბ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, ბ. ნ. ენუქიძე, ო. ბ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩიტოვი, ბ. დ. მგელაძე, ბ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსაი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ბ. ბ. გუმბარიძე, ბ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე, ი. ჯ. უგილავა, ბ. დ. ჯაფარიძე, ე. ი. კანდელაკი, ა. ვ. ყვანია, ბ. ვ. თოდუა, ე. ს. ცირამუა.

ბ ა ვ შ ვ ა ო ბ ა

გაავზარდოთ რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალი

ენერგეტიკას (განეკუთვნება ძირითადი როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის თვისებრივი გარდაქმნის უზრუნველყოფაში, ცხოვრების ყველა სფეროს ამაღლებ მიმდინარე გარდაქმნის დროს. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხმარდება რესპუბლიკაში განლაგებული დარგის ყველა საწარმოს შრომითი კოლექტივების ძალისხმევა, რომლებმაც უნდა გაზარდონ მისი ენერგეტიკული პოტენციალი. ამაში მათ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საკავშირო სამინისტროები და უწყებები რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად.

პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობას ეცნობოდა ორი დღის განმავლობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ბიუროს თავმჯდომარე ბ. ე. შჩერბინა. მან დაათვალიერა ენგურის ჰიდროელექტროსადგური, მისი მიწისქვეშა ნაგებობანი, სადგურის მაღლივი თაღოვანი კაშხალი, შეხვდა მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ახორციელებენ მთის მდინარეზე აგებული ენერგეტიკული გიგანტის მშენებლობასა და ექსპლოატაციას, გამოიკითხა, როგორია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

უკვე რამდენიმე წელია ენგურის ჰიდროელექტროსადგური ერთდროულად შენდება და მუშაობს კიდეც. ახლახან მიაღწიეს კაშხლის საპრიექტო სიმაღლეს, ამერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემაში სადგურმა გამომიუშავა ასმილიონობით კილოვატსაათი დენი. ენგურის აყოლებით რამდენიმე ათეულ კილომეტრზე შენდება ენგურის ენერგეტიკული კასკადის კიდევ ერთი მძლავრი — ხუდონის სადგური, რომლის აგება გათვალისწინებულია პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის სამუშაოთა დაჩქარების საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურში გამართულ თათბირზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების პრობლემები. საქმიანი, გულახდილი სჯა-ბაასი გაიმართა დარგის მუშაობის ეფექტიანობის ზრდის გზებზე, მის პერსპექტივებზე. ოპერატიულად გადაწყდა მთელი რიგი მოუწესებელი პრობლემები. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საჭიროა საქართველოს სსრ ენერგეტიკული ბალანსის სტაბილიზაცია. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გაფართოვდეს რესპუბლიკის დარგის ფლაგმანი—თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ მიზანშეწონილია აქ აშენდეს არა ორი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო წინათ, არამედ სამი ახალი ენერგობლოკი. უნდა დაჩქარდეს აგრეთვე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა ენგურის ჰიდროელექტროსადგურიდან სოხუმამდე, შემდეგ კი დაჩქარდეს მისი გაყვანა ადლერამდე, რის შედეგადაც გადაეჭრება საკურორტო მხარის ენერგომომარაგების მრავალი პრობლემა. გარემოს დაცვის გაძლიერებასთან დაკავშირებული რეგიონის ეკოლოგიური თავისებურებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სრული გამოყენებისათვის უნდა განისაზღვროს სადგურის გაზის სათბობზე გადაყვანა.

თათბირზე განსაკუთრებული სჯა-ბაასის საგანი იყო ენერგეტიკოსთა შრომითი კოლექტივების ოფიციალური განვითარების საკითხები. აღინიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს ბინების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტემპი. ამას სერიოზულად უნდა ამაჯადოს ხელი საწარმოო-სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საჭიდროელექტრომშენის“, „ელექტროსადგურებმშენის“ ტრესტის, „საქმთავარენერგოს“ სამართველოს და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. მათვე უნდა იზრუნონ ეპისათვის, რომ არსებითად გაიზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობა, გაფართოვდეს სასოფლო დამხმარე მეურნეობათა ქსელი.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს უმთავრესი ადგილი ეკავა ჟინვალის ჰიდროკავახძის დათვალიერების დროს. ეს უნივერსალური ჰიდროტექნიკური კომპლექსი გათვალისწინებულია არა მარტო ელექტროენერგიის წარმოებისათვის, არამედ რესპუბლიკის დედაქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებისა და ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რწყვისათვის. ჰიდროელექტროსადგურის, წყალსაცავის დათვალიერების დროს გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები ჰიდროკავახძის სახალხო-სამეურნეო უკუგების ზრდის, საექსპლოატაციო მუშაობის სრულყოფის თაობაზე.

ბ. ე. შჩერბინა შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილს, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს. საუბრის დროს ღრმად გააანალიზეს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობა და პერსპექტივები, მისი გარდაქმნის პროცესი. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა დარგის პოტენციალის ზრდასთან ერთად ეფექტიანად განხორციელდეს ენერგოდამზოგველი პოლიტიკა, რაც საქართველოს ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება.

რესპუბლიკის ენერგეტიკული ობიექტების დათვალიერების დროს ბ. ე. შჩერბინასთან და მის თანმხლებ პირებთან — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილესთან ი. კ. სემიონოვთან, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის პირველ მოადგილესთან ა. ნ. მაკუხინთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. გლურჯიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი. (საქინფორმი).

მილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოში იმყოფებოდა მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის ვიქტორ რამაპატრას მეთაურობით.

სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკაში მშენებარე ავტოგზები, თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი.

18 სექტემბერს დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. დ. მახარაშვილმა.

მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ცხოვრება, ესაუბრა მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, სახალხო მეურნეობაში მიმდინარე გარდაქმნის, სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესახებ.

დელეგაციის მეთაურმა ვ. რამაპატრამ მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისა და საინტერესო საუბრისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მადაგასკარისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ურთიერთობა წარმატებით ვითარდება. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ ქართველი სპეციალისტებიც, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მადაგასკარელებს ავტოგზებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში. სტუმარმა მაღალი შეფასება მისცა მშენებლობის საბჭოურ ტექნოლოგიას და იმედი გამოთქვა, რომ მათ აითვისებენ მადაგასკარელი სპეციალისტები. მან აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი დასაბამს მისცემს მადაგასკარ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ახალ ეტაპს. (საქინფორმი).

◆ საფრანგეთი საპროტესტო მანიფესტაცია

პარიზი. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა გუშინ ბურბონის სასახლის მოედანზე ეროვნული კრების შენობის წინ, რომელსაც პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავდნენ. აქ გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაცია ულტრამემარჯვენე პარტიის „ეროვნული ფრონტის“ საქმიანობის წინააღმდეგ. ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია ფრანგ ულტრათა ლიდერის ჟან-მარი ლე პენის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომელმაც ცინიკურად თქვა, თუ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში არსებობდა კიდეც გაზის კამერები, ეს „მხოლოდ მისი ისტორიის ცალკეული დეტალი იყო“.

მანიფესტაციის მონაწილეთა შორის იყვნენ ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, სოციალისტური პარტიის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, მასობრივ საზოგადოებრივ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა დელეგაციები.

„ფაშიზმი ვერას გახდება!“, „ძირს — ლე პენი!“, „გაძევეთ პარლამენტიდან ფაშისტი დეპუტატი!“ — ერთხმად გაიძახოდნენ მანიფესტანტები. ბევრ მათგანს მკერდზე ეკეთა პატარა პლაკატი, რომელზეც შავ ფონზე წარწერილი იყო: დეტალი № 9 882 451. ეს სიმბოლიკა ყველასათვის გასაგებია — ასეთი ნომრები ჰქონდათ სხეულზე ამოსვრილ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეებს.

◆ აშშ

მხმარეზიან კონტრრევოლუციონერებს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებმა მიაღწიეს შეთანხმებას ახალი საფინანსო წლის პირველი 40 დღის მანძილზე კონტრრევოლუციონერთათვის დახმარების გაგრძელების შესახებ. ახალი საფინანსო წელი 1 ოქტომბერს იწყება. თავისი არსით ეს შეთანხმება კონგრესში რეიგანის ადმინისტრაციის მოკავშირეთა დროებითი დახმარებაა, მაგრამ იგი მათ საშუალებას აძლევს თავისი გაიტანონ უკვე ახლო მომავალში.

როგორც გასულ კვირას პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, განზრახული აქვს მიაღწიოს იმას, რომ კონტრრევოლუციონერებს გაუგრძელონ სამხედრო დახმარება, როცა ამოიწურება წლევანდელი საფინანსო წლისათვის გამოყოფილი 100 მილიონი დოლარი. პრეზიდენტმა თქვა, რომ კონგრესში გაგზავნის მოთხოვნას ნიკარაგუელი მეამბოხეებისათვის უახლოესი 18 თვის მანძილზე 270 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. ამ განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია კათოლიციზმის ბორცვზე, სადაც დემოკრატიული პარტიის წამყვანმა მოღვაწეებმა პრეზიდენტის გეგმები ცენტრალურ ამერიკაში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესისათვის ძირის გამოთხრად მიიჩნიეს.

◆ ჩინეთი ახალი ტიპის თანამგზავრი

პეკინი. ჩინეთში წარმატებით გაუშვეს და დედამიწაზე დაბრუნეს „ახალი ტიპის სამეცნიერო-კვლევითი თანამგზავრი“. როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დღევანდელი ცენტრალური გაზეთები იუწყებიან, იგი 9 სექტემბერს გაუშვეს ძიუციუანის (განსუს პროვინცია) კოსმოდრომიდან და 17 სექტემბერს დაეშვა სიჩუანის პროვინციის ტერიტორიაზე. დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე თანამგზავრი გაიყვანა „ჩანჯენ-2“ რაკეტამზიდმა, რომელსაც აქვს „გაძლიერებული ძრავები“. სამეცნიერო-კვლევით თანამგზავრზე 34 სახეობის სამეცნიერო აპარატურაა, რომელიც ჩინელმა მეცნიერებმა გამოიყენეს ორბიტაზე ექსპერიმენტების დროს.

ეს საინტერესოა

მზადდება მორიგი ექსპედიცია

ისევ ლოჰ-ნესის ურჩხულის შესახებ

ლონდონი. მზადდება ახალი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია ლოჰ-ნესის „ურჩხულის“ მოსაძებნად. ამერიკა-ინგლისის საძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა ადრიან შაინმა ლონდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ 9 ოქტომბერს დაიწყება ლოჰ-ნესის ტბის ელექტრონული „ჩხრეკის“ ორი დღის ოპერაცია. კვლევითი ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სამი მეცნიერი და ძებნის უზრუნველყოფის ჯგუფის ასამდე წევრი. მთელი ლოჰ-ნესის ტბის გულდასმით გამოკვლევა, რომლის სიგრძე 40 კილომეტრია, მოეწყობა 24 მოტორიანი ნავით და გამოიყენებენ ყველაზე თანამედროვე გამოთვლით და ჰიდროსალოკაციო ტექნიკას, აგრეთვე წყალქვეშა ტელეკამერებს. საძებნიერო მოწყობილობის ღირებულება 1,6 მილიონ დოლარს შეადგენს. ნავებიდან გაგზავნილი ბგერითი სიგნალები მიაღწევს 220 მეტრ სიღრმეს და კომპიუტერების ეკრანებზე გამოსახავს ყველა წყალქვეშა საგნის კონტურებს. ასეთნაირად მიღებულ მონაცემებს ერთად მოუყრიან თავს და ჩადებენ კომპიუტერში დასამუშავებლად. ამის შედეგად მეცნიერები აპირებენ მიიღონ ყოველივე იმის ზუსტი სურათი, რასაც ტბა შეიცავს. რეიტერის სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ექსპედიცია.

ტაიფუნი იაპონიაში

ტოკიო. ტაიფუნმა გადაუარა იაპონიის იძუ ოსიმას კუნძულების ჯგუფს. დღე-ღამის განმავლობაში 888 მილიმეტრამდე ნალექი მოვიდა. თავსხმის დროს კუნძულებს შორის შეწყდა ყოველგვარი მიმოსვლა. წამში 36 მეტრის სიჩქარის ძლიერი ქარის გამო გააუქმეს მატარებელთა რეისები აგრეთვე იბარაკის პრეფექტურაში და ფონსუის ცენტრალურ კუნძულზე.

ნ ი ო ტ ი ბ ი

ტელეტაიპი გადმოგცემს
18 სექტემბერი ● საღამისი

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

ე ქ ო

შეუძლებელია შეურიგდე სიტუაციას, რომელშიც აღმოჩნდა მსოფლიო მესამე ათასწლეულის დამდეგს, — განადგურების საფრთხეს, გამუდმებულ დაძაბულობას, ეჭვებისა და შეღლის ატმოსფეროს, მილიონობით ადამიანის შრომასა და ტალანტს, უზარმაზარ სახსრებს, ახმარდე იმას, რომ მატულობდეს ორმხრივი უნდობლობა და შიში. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირი ესოდენ მტკიცედ აყენებს საკითხს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შესახებ. ამ აზრით არის გამსჭვალული ფართო საერთაშორისო გამოხმაურებანი „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სტატიაზე „უსაფრთხო მსოფლიოს რეალობა და გარანტიები“.

ნიუ-იორკი. მ. ს. გორბაჩოვის სტატიას დიდი ინტერესით შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა. ეს დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას, საგულდაგულო შესწავლას იმსახურებს, თქვა მან.

ვაშინგტონი. „ვაშინგტონ პოსტი“ წერს: მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულება შეიძლებოდა შეგვემუშავებინა მომდინარე წლის დამლევამდე და მოვრიგებოდით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას 1988 წლის პირველ ნახევარში. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების გაწყვრილი შესრულების პირობებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების საკითხებზე. საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება შეეჭმნათ შეიარაღების შეზღუდვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შეთანხმებათა შესრულების ფართო საერთაშორისო კონტროლის მექანიზმი.

იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის სააგენტო იუწყება: საბჭოთა ხელმძღვანელმა მოგვიწოდა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეობისა და გაერთიანებული ერების მშვიდობის ხელშემწყობი შეიარაღებული ძალების ინსტიტუტი მოშუღლე მხარეთა ჯარების დაშორიშორების, ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შეთანხმებებისადმი მეთვალყურეობის მიზნით. მან წინადადება წამოაყენა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით საერთაშორისო ტერორიზმის აქტების გამომძიებელი ტრიბუნალი. სტატიაში წამოყენებულია წინადადება განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, რომ არსებობდეს პირდაპირი კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინასა და ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებს შორის, აგრეთვე მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარის ადგილსამყოფელთან. მეორე დიდმნიშვნელოვანი წინადადება ის არის, რომ უშიშროების საბჭო სხდომებს მართავდეს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში, არამედ შეხლა-შემოხლისა და დაძაბულობის რაიონებშიც, აგრეთვე რიგრიგობით — საბჭოს მუდმივი წევრების დედაქალაქებში.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება: საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმება შესაძლებელი და რეალურია. მ. ს. გორბაჩოვმა მოგვიწოდა გავაფართოოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი შეიარაღებისადმი კონტროლის ხელშეწყობის საქმეში. მოსკოვმა გააკრიტიკა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა და აღნიშნა, რომ მიუღებელია ლაპარაკობდე ადამიანის უფლება-თავისუფლებებზე და ამავე დროს იგი მოათავსო კოსმოსური ეგზოტიკური შეიარაღების „ჭაღის“ ქვეშ. სსრ კავშირმა კვლავ განაცხადა, რომ მოსკოვი არ ეთანხმება „ბრძოლა ვარსკვლავებში“ სტრატეგიას და უფსკრულისაკენ მიმავალი მარშრუტი უწოდა იმ აზრს, რომ ბირთვული იარაღი თავიდან აგვაცილებს ომს.

მოსკოვს მართებულად არ მიაჩნიაო, ამბობენ დასავლეთში, რომ ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ შეთანხმების დადების შემთხვევაში, დასავლეთმა ამ დარგში ვარშავის ხელშეკრულების უპირატესობის საპირისპიროდ გაზარდოს თავისი ჩვეულებრივი ძალები. დისბალანსი, დისპროპორცია არსებობს, მოდით, აღმოვფხვრათო, აცხადებს საბჭოთა კავშირი.

პარიზი. საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს **ფრანს პრესის სააგენტო,** განაცხადა, რომ საერთაშორისო საქმეთა გონივრული, პასუხისმგებლური და რაციონალური ორგანიზაციის სფერო თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც ფართოვდება.

ვარშავა. როგორც **„ტრიბუნა ლუდუ“** აღნიშნავს, საბჭოთა კავშირის აზრით, საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების თაობაზე ხელშეკრულების მიღწევის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო სტაბილური გახდება. საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ განხორციელდეს განიარაღება, ამასთანავე შეიქმნას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, შეიარაღების შეზღუდვისა და კონფლიქტურ რაიონებში საომარი ვითარებისადმი მეთვალყურეობის შეთანხმებათა შესრულებისადმი ფართო საერთაშორისო კონტროლის მექანიზმი. იგი ყოველნაირად უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტისა და როლის ზრდას.

ბონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დაადგა პოზიციას, რომელიც გარკვეულწილად უწყობს ხელს საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმების მიღწევას, ნათქვამია დასავლეთ გერმანიის **დპა საგენტოს ცნობაში.**

პრესკონფერენცია სესიაზე

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე გამართა პრესკონფერენცია იმ დიდ ინტერესთან დაკავშირებით, რომელიც სესიის მონაწილეთა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრედიტებულ უურნალისტთა შორის გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სტატიამ „რეალობა და უსაფრთხო მსოფლიოს გარანტიები“. ამ სტატიაში ახალი პოლიტიკური აზროვნების მიხედვით არის განხილული მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ყოვლისმომცველი სისტემის ჩამოყალიბების კონკრეტული, პრაქტიკულად შესაძლებელი გზები, განაცხადა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. თ. პეტროვსკიმ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნა ყველა ასპექტით: საძხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ეკოლოგიური ასპექტებით — დემოკრატიზაციისა და მართლწესრიგის საწყისებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე საბჭოთა დელეგაციას აქვს მითითება მთელი მეცადინეობა მოახმაროს იმას, რომ ბოლო მოეღოს კონფრონტაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში დაინერგოს ახალი პოლიტიკური აზროვნება, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა.

კოსმოსურ ვახტზე

ფრენის მართვის ცენტრი, 18 სექტემბერი (საკდესი). „მირ“ ორბიტულ კომპლექსში მთავრდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ალექსანდროვის მორიგი სამუშაო კვირა.

გასულ დღეებში ეკიპაჟი ძირითადად ეწეოდა გეოფიზიკურ გამოკვლევებს. ასრულებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სამხრეთი რაიონების, კერძოდ, უკრაინის, ვოლგისპირეთის, ყაზახეთის გადაღებას. კოსმონავტებმა გაიარეს აგრეთვე მორიგი სამედიცინო შემოწმება.

ასტროფიზიკური გამოკვლევების საერთაშორისო ბროგრამის ფარგლებში გრძელდება მუშაობა ორბიტულ ობსერვატორია „რენტგენთან“. მოდულ „კვანტზე“ დაყენებული ტელესკოპები დღეს მიმართულია კიბორჩხალისებრი ნისლოვანებისაკენ. ამ ექსპერიმენტების მიზანია ტელესკოპების დეტექტორების დაყალიბება. დაყალიბება საჭიროა იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ზეახალი რენტგენის გამოსხივების სპექტრი მაგელანის დიდ ღრუბელი, რომელიც პირველად აღირიცხა 1987 წლის 10 აგვისტოს „მირ“ კომპლექსიდან.

„პროგრეს-31“ ავტომატურ სატრანსპორტო ხომალდზე სამუშაოთა გეგმის მიხედვით კოსმონავტებმა დაიწყეს ნახმარი მოწყობილობით მისი დატვირთვა.

იური რომანენკო და ალექსანდრე ალექსანდროვი თავს კარგად გრძნობენ.

ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

◆ ᲐᲨᲨ

მხმარეზიან კონტრრევოლუციონერებს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებმა მიაღწიეს

ეს თქვენ გაინტერესებდათ

„კატრექსი“ პანაცეა არ არის

ახალგაზრდულ უურნალ „სმენაში“ გამოქვეყნებული ცნობა, რომ ნაპოვნია კიბოს — საუკუნის ამ საზარელი სენისაგან ხსნის საშუალება, ელვისებურად მოედო მთელ ქვეყანას. ამის დასტურია ის, რომ ამ დღეებში თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე თავი მოიყარა ათი ათასზე მეტმა კაცმა. სწორედ აქ მდებარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ლაბორატორია, როგორც ოფიციალურად ეწოდება. ამ საკითხს ეძღვნებოდა 12 სექტემბრის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული რეპორტაჟი „საგანგებო სიტუაცია“.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე გამოტანილი დასკვნებისა და აღნიშნული პუბლიკაციის სარწმუნოობის შესახებ საკითხის კორესპონდენტმა სთხოვა აზრი გაეზიარებინა ამ კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ ვ. ა. ლეპახინს:

— ეს ახალი საკითხი არ არის. უკვე რამდენიმე წლის წინათ პრეპარატის ავტორებმა წარმოადგინეს ზოგიერთი ცნობა კატრექსის — შავი ხოვის ხვიგენის კატრანის ღვიძლის ექსტრაქტისაგან შექმნილი პრეპარატის სიმსივნესაწინააღმდეგო მოქმედების შესახებ. იმის მიუხედავად, რომ ეს მონაცემები საკმარისი არ იყო, რათა ნება დაგვერთო განხორციელებულიყო კლინიკური ცდები, იმასთან დაკავშირებით, რომ პრობლემა მნიშვნელოვანია, შეიქმნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისია, რომელიც საქართველოში გამოიმგზავრა და ადგილზე სწავლობდა საქმის ვითარებას. მაგრამ კომისიამ ვერ შეძლო მიეღო დამაჯერებელი მონაცემები ონკოლოგიურ ავადმყოფობაში კატრექსის სიმსივნესაწინააღმდეგო აქტიურობის შესახებ. ამასთანავე აღინიშნა, რომ კატრექსს ახასიათებს გარკვეული ბიოლოგიური აქტიურობა, ისევე როგორც თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილ ბევრ სხვა ნივთიერებას.

უნდა დავძინოთ: აპარატი არასტანდარტული და ძალიან არასტაბილურია, მისი ვარგისობის ვადა დაახლოებით ორი კვირაა.

ფარმაკოლოგიის კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ უკანასკნელ ხანს პრეპარატის შემმუშავებელმა ავტორებმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ონკოლოგიის პრობლემათა ინსტიტუტის, სსრ კავშირის სამეფიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს სამკურნალწამალო საშუალებათა ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა პრეპარატი დამატებით გამოიკვლეს, რამაც, როგორც ისინი ამტკიცებენ, ცხადყო, რომ კატრექსს ახასიათებს ერთგვარი სიმსივნესაწინააღმდეგო აქტიურობა, აგრეთვე უსაფრთხოა, და გადაწყვიტა დართოს მისი კლინიკური შემოწმების ნება. განხორციელდება ეს ქვეყნის ორ წამყვან ონკოლოგიურ დაწესებულებაში. შემოწმების მიზანია განისაზღვროს, ახასიათებს თუ არა პრეპარატს საკმარისი სიმსივნესაწინააღმდეგო აქტიურობა ავადმყოფთა მკურნალობისათვის. ამავე დროს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ თბილისში გამოგზავნა ავტორიტეტიანი სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რათა გულდასმით გამოიკვლიოს, კერძოდ, შეისწავლოს ავადმყოფობათა ისტორია, და რაც მთავარია, კატრექსით ავადმყოფთა მკურნალობის შედეგები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიის კომიტეტის გადაწყვეტილება ნაკარნახევია სურვილით, რომ ხელიდან არ გაუშვას მძიმე დაავადებასთან ბრძოლის გზების ძიების არც ერთი შესაძლებლობა.

ერთხელ კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს, სამწუხაროდ, კვლავინდებურად არა გვაქვს სარწმუნო კლინიკური მონაცემები კატრექსის დიდი სიმსივნესაწინააღმდეგო ეფექტიანობის შესახებ. და იმ ფაქტმა, რომ ათასობით ავადმყოფი და მათი ნათესავი ჩავიდა პრეპარატის შემმუშავებლებთან მისი მიღების მიზნით, არ შეიძლება არ გამოიწვიოს მედიკოსთა შეშფოთება. ამ საშუალებამ შეიძლება არ გაამართლოს მათი იმედები, და დაკარგება სამედიცინო დაწესებულებაში თანამედროვე საშუალებებით დაავადების მკურნალობის დაწყების დრო.

ჩვენი აზრით, კატრექსის თვისებების შესახებ სარეკლამო ხასიათის პუბლიკაცია ნაადრევია. თუ პრეპარატი უმედეგო გამოდგა, კოლოსალური მორალური ზიანი მიადგება ასიათასობით ავადმყოფსა და მათ ნათესავს.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ფარმაკოლოგიის კომიტეტი ყოველ ღონეს იხმარს, რათა პრეპარატის კლინიკური გამოცდა მოეწყოს ოპერატიულად და მაღალ თანამედროვე სამეცნიერო დონეზე. მაგრამ კლინიკური შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემმუშავებელი ავტორები წარმოადგენენ მონაცემებს იმუნურ სისტემაზე პრეპარატის გავლენის შესახებ, ორგანიზმზე მისი ალერგიული მოქმედების შესწავლის შედეგებს, აგრეთვე ცდების პროგრამას. კლინიკური შემოწმების დამთავრების შემდეგ ფარმაკოლოგიის კომიტეტი მეეცდება მაშინვე მიაწოდოს პრესას მასალები მისი შედეგების შესახებ.

ამ საკითხს ეძღვნებოდა 12 სექტემბრის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული რეპორტაჟი „საგანგებო სიტუაცია“.

ესტრადა

შევაფასოთ და გარდავქმნათ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო სამმართველო ესტრადის მოყვარულთ იწვევს პროფესიული საესტრადო კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. იგი გუშინ დაიწყო და 27 სექტემბრამდე გასტანს.

— ასეთი დათვალიერება, — უამბობს **„კომუნისტის“** კორესპონდენტს ამ სამმართველოს ახლახან დანიშნული უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ჯემალ ბალაშვილი,** — პირველად შარშან გაიმართა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, სახელმწიფო ფილარმონიისა და საქტელერადიოს ინიციატივით. მისი მიზანია რეალურად შევაფასოთ და ძირეულად გარდავქმნათ დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ესტრადისა, რომელსაც, რა დასამალია და, დღეს ძალზე უქირს. შარშანდელმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ სამუშაო ბევრია. ვეუბნობ, რომ კოლექტივებმა ერთი წლის განმავლობაში თვისებრივი გარდაქმნა შეძლეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი დათვალიერება — ფესტივალის გამართვა მაინც აუცილებელია იმ თვალსაზრისით, რომ რეალურად შევაფასოთ ჩვენი ესტრადის დღევანდელი მდგომარეობა და ყველაფერი ვიღონოთ მისი მხატვრული დონის ამაღლებისათვის. წლევანდელ დათვალიერებაში მონაწილეობენ საესტრადო კოლექტივები: თბილისის „ნატვრის ხე“, „აისი“, „პირამიდა“, „ორგო“ და სხვა., ქუთაისის „ფაზისი“ და ბავშვთა საესტრადო ანსამბლი, ბათუმის „ათენა“, სამხრეთ ოსეთის „ბონვარანი“ და ა. შ., აგრეთვე ინდივიდუალური შემსრულებლები: ოთარ რამიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ზურაბ მანაგაძე და სხვ.

ერთი დღე დაეთმობა ჯაზის საღამოს, ერთი კი ბავშვთა ანსამბლების გამოსვლას.

პროფესიულ კოლექტივებს შორის გამარჯვებულთა დასკვნითი კონცერტი გაიმართება 27 სექტემბერს.

ამ ღონისძიებას წინ უძღოდა ეგრეთ წოდებული „ღია კარის“ კვირეული, რომლის მიზანი იყო ახალბედა, ნიჭიერ შემსრულებელთა გამოვლენა. მართლაც ვიპოვეთ რამდენიმე საინტერესო მომღერალი. ერთი მათგანი — მაია კვირკველია უკვე ანსამბლ „ნატვრის ხეში“ ჩაირიცხა. მაგრამ ამასთან დათვალიერებამ ბევრი პრობლემაც წამოჭრა, რაც ცალკე საუბრის თემაა.

„ღია კარის“ კვირეულში გამარჯვებულთა კონცერტები გაიმართება 29-30 სექტემბერს.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

შემოდგომობით თბილისის საგამოფენო დარბაზებში მუდამ განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა. ამ მხრივ არც წლევანდელი შემოდგომაა გამონაკლისი.

გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში

გაიხსნა გამოფენა

რომელსაც უჩვეულოც კი შეიძლება ეწოდოთ. აქ წარმოდგენილია ჩვენს დედაქალაქში შექმნილი არქიტექტურულ-სადიზაინერო კოოპერატივის წევრთა ნამუშევრები.

დარწმუნებული ვართ გამოფენა ბევრ თქვენგანს დაინტერესებს.

▼▼

ქალაქ ქუთაისის დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ქალაქ ვიტორიასთან — ესპანეთის პროვინცია ალავის ერთ-ერთ უძველეს კულტურულ და სამრეწველო ცენტრთან. ამ დღეებში

ესპანეთის ფესტივალზე

გაემგზავრა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლის მამაკაცთა გუნდი. ქუთაისელი მომღერლები მონაწილეობას მიიღებენ ფოლკლორული სიმღერის ფესტივალში.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა **გ. ხარებავშვილმა.**

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



თბილისი, აბანოთუბანი. ა. საკაკოვის ფოტო.

თეატრი

მეცხრამეტე სეზონი

ქუთაისი. ტრადიციისამებრ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ გახსნა თავისი მე-19 სეზონი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალმა.

—ახლანდელი სეზონის პირველი პრემიერა იქნება, — თქვა თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გივი ტორონჯაძემ, — ოპერა „ჯაკო ჯანჯღი“. დადგმა ეძღვნება ილია ჭავჭავაძის იუბილეს და დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. დეკემბრის ბოლოს ვიჩვენებთ ჩაიკოვსკის ოპერა „იოლანტას“. ვაპირებთ დავდგათ მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ დიდი თეატრის დირიჟორის ალექსანდრე ვეისის მონაწილეობით.

რთული ვითარება გვაქვს ბალეტთან დაკავშირებთან, დასი, როგორც ასეთი, ფაქტობრივად არ არის, მართალია, წელს მივიღეთ სამი ახალი ბალერინა, მაგრამ ეს, ბუნებრივია, პრობლემას ვერ გადაჭრის. თეატრს არ ჰყავს მთავარი ბალეტმაისტერი.

ქუთაისის ოპერის თეატრი პირველი იანვრიდან ჩაება ფართო მასშტაბის. თეატრალურ ექსპერიმენტში. ვიმედოვნებთ, სასიკეთო ცვლილებები მოხდება ორგანიზაციული და შემოქმედებითი თვალსაზრისით.

ისევე როგორც წინა წლებში, ქუთაისის საოპერო მუსიკის მოყვარულები პირველ სეზონში შეხვედრიან ცნობილ შემსრულებლებს.

მეგობრობის გასტროლები

სოხუმი. კ. გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის სცენაზე გასტროლებს განაგრძობს გროდნოს რუსული დრამატული თეატრი.

— თქვენმა თეატრმა, — თქვა თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ დ. კალჩენკომ, — გასტროლები დაამთავრა მინსკში და დიდი წარმატებით აჩვენებს თავის სპექტაკლებს გროდნოში. მან პირველად გამართა გასტროლები ბელორუსიაში, ჩვენ კი პირველად ვართ იფხაზეთში. სცენების გაცვლას ვუწოდეთ მეგობრობის გასტროლები და იგი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს მივუძღვენით. სოხუმში გასტროლები გავხსენით სპექტაკლით „არჩევანი“ ი. ბონდარევის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. საგასტროლო რეპერტუარი ისე ჩამოვაყალიბეთ, რომ შესულიყო სხვადასხვა პრობლემისადმი მიძღვნილი, სხვადასხვა ჟანრისა და სტილის სპექტაკლები. თეატრის განსაკუთრებული საზრუნავი ახალგაზრდა მაყურებელი.

სწორედ მისთვის არის დადგმული ჩვენი ბევრი სპექტაკლი. ვ. ტოკარევის „ექსპრომტ-ფანტაზია“, ვ. პავლოვის „ოჯახური ვახშამი ორის ნახევარზე“.

სოხუმში ვიჩვენებთ მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ ორ სპექტაკლს: მოლიერის კომედიას „ცოლების სკოლას“ და ჯ. ბოკაჩოს „დეკამერონის“ ინსცენირებას.

გასტროლებს დავამთავრებთ მეგობრობის სპექტაკლ-კონცერტით.

სურამის ციხის რესტავრაცია

დიდი სამუშაოები სრულდება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ნაგებობის — სურამის ციხის შენობის რესტავრაციისა და წესრიგში მოყვანისათვის. ზაფხულის დღეებში აქ შრომობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებმაც ქვა-ღორღისაგან გაწმინდეს ეს ნაგებობა. როცა არდადეგები დამთავრდა, სტუდენტთა რაზმები გორის, ქარელისა და სხვა რეგიონების მშრომელთა წარმომადგენლებმა შეცვალეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების დახმარებით მათ ზუსტად დაადგინეს, თუ რით იყო გამოწვეული საუკუნეების წინათ აგებული ციხის კედლების ღრევევა. დღეისათვის ყველაფერი იღონეს, რათა გზა გადაეკეტათ ამ არასასიამოვნო მოვლენისათვის. ახლა კი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ღრმულების ამოგებისა და ყოფილი ციხის დარბაზების აღდგენა-განახლების სამუშაოები, რომლებიც გაისად დასრულდება.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახბანკი იუწყებიან, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის ობლიგაციების (1952 წლის გამოშვება) განაღდებას, რომლებიც დაფარვის წინანდელ ტირაჟებში არ შემოსულა და რომელთა ღირებულება 1,4 მილიარდ მანეთს შეადგენს, შემნახველი სალაროები დაიწყებენ 1987 წლის 21 ოქტომბრიდან.

გ. ზონინი: ვიმედოვნებთ, რომ თამაშიც და მსაჯობაც უკეთესი იქნება

თბილისის „დინამოს“ და სოფიის „ლოკომოტივის“ მატჩი მთელმა ქვეყანამ ნახა ტელევიზიით. გუშინ ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ორჯერ თუ სამჯერ „დაატარეს“ დილის საწვრთნელ ბაზაზე. ვიდეომონიტორთან შეიკრიბა დინამოელთა მთელი კოლექტივი (გუნდი სპეციალური რეისით ჩამოფრინდა სოფიიდან). „კომუნისტის“ კორესპონდენტის თხოვნით განვლილ მატჩზე თავისი აზრი გამოთქვა „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ბერმან ზონინმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიდრე სოფიის მატჩზე ვისაუბრებდეთ, ურიგო არ იქნება, საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა გავიხსენოთ. რომ იტყვიან, ჰაერივით საჭირო ქულები დავკარგეთ ერევნის „არარატთან“. არ ვიცი, გულშემატკივრები როგორ ფიქრობენ, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ამის მიზეზი უხეირო მსაჯობა უფრო იყო. „თითოდან გამოწვეული“ ორი პენალტით ნებისმიერი გუნდი შეიძლება დამარცხდეს. ამ ფაქტს ალბათ არც გავიხსენებდი, რომ სამწუხაროდ, თითქმის იგივე არ განმეორებულიყო სოფიაში. გაიხსენეთ პირველი ეპიზოდი: „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი, რომელთან უხეში თამაშისთვისაც დავისჯეთ, აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მეორე ტაიმში კი დარღვევა საჯარიმო მოედნის გარეთ მოხდა. ამ ორ ეპიზოდს შორის იუგოსლავმა არბიტრმა „ვერ შენიშნა“ მასპინძელთა აშკარა უხეშობა ყოროლოძის წინააღმდეგ. სხვათა შორის, მსაჯის ამ შეცდომებზე მატჩის შემდეგ პრინციპული საუბარი გაიმართა. პრესკონფერენციის დარბაზში მსხდომთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის უეფა-ს კომისარმა, არბიტრი გაამტყუნა. თვითონ ვუიოვიჩმა რაღაც მიკიბ-მოკიბა, „ოლკომოტივის“ უფროს მწვრთნელს კი, გასაგები მიზეზების გამო, თავი არც აუწევია.

არ იფიქროთ, ყველაფერს მსაჯებს ვაბრალებდეთ. სხვა დროს, სხვა მატჩებში უარესიც მომხდარა, მაგრამ ამჯერად ისე გამოვიდა, უბედურ კაცს ქვა აღმართში წამოეწიაო. თბილისს „დინამოს“ უჭირს და ამას ყველა კარგად ხედავს. გუნდი ჯერჯერობით მზად არ არის დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა სოფიაში. მოთამაშეებს მწვრთნელთა დავალება რომ ზუსტად შეესრულებინათ, ცხადია, ტენდენციური მსაჯობა ვერაფერს დაგვაკლებდა. ასეთ პრესტიჟულ ტურნირში მეტოქის მოედანზე სასურველი შედეგის მოსაპოვებლად მარტო საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის ზრუნვა არ ქმარა. გამარჯვება კოლექტიურ თამაშს მოაქვს, როცა გუნდის თითოეული წევრი სწრაფად მოძრაობს მოედანზე, დაცვასაც ასწრებს და თავდასხმასაც. იმედი გვქონდა, რომ შეტევის დროს შენგელიასა და ფანცულაიას აქტიურად დაეხმარებოდნენ კორღალიძე და ჭედია, მარჯვენა ფლანგზე — სულაქველიძე და რევაზიანი. ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, შუა მოედანსა და წინა ხაზს შორის კავშირი ვერ დამყარდა. ამიტომ ჩვენი შეტევები უფრო და უთავბოლო იყო. ბულგარელები გაცილებით სწრაფად მოქმედებდნენ მინდორზე, აქტიურად იბრძოდნენ ბურთისთვის და ამის წყალობით ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწიეს. ვფიქრობთ, „ლოკომოტივი“ ისეთი ძლიერი გუნდი არ არის, რომ ჩვენ ვერ შევძლოთ მათი დამარცხება. განმეორებით მატჩზე, ვიმედოვნებთ, სხვა სურათის მოწმენი გავხდებით, იმის იმედიც გვაქვს, რომ მსაჯობა უფრო მაღალ დონეზე იქნება.

უეფას თასის მატჩები სეროზული გამაცდაა ნებისმიერი გუნდისათვის, მაგრამ თბილისს „დინამოს“, მოგეხსენებათ „შინაურული“ პრობლემებიც აწუხებს. საკავშირო ჩემპიონატის უახლოესი მატჩი 21 სექტემბერს გვექნება, მაშინ გადაწყდება, შეძლებთ თუ არა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. გუნდის ხელმძღვანელებიც და ფეხბურთელებიც ასე ვაფასებთ მომავალი შეხვედრის მნიშვნელობას. ნაკლსაც კარგად ვხედავთ: დამფიქრებელია ცალეულ მოთამაშეთა ფუნქციური მდგომარეობა, ტექნიკური მომზადება, ტაქტიკური აზროვნება — ერთი სიტყვით, საძირკველი მყარი არა გვაქვს და ეს მოედანზე უამრავ „წვრილმან“ შეცდომას იწვევს. ახლა მწვრთნელები ძირითადად ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად მუშაობენ.

საუბარი ჩაიწერა
ე. ბერიშვილმა.

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

ოლიმპიადა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 17 სექტემბერს, სეულის ოლიმპიურ ასპარეზობებზე მონაწილეობის მისაღებად ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს 167 მიწვევის ბარათი გაუგზავნა. მიწვევის დღედ 17 სექტემბერი იმიტომ აირჩიეს, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, გაისად 17 სექტემბერს ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება, რომელიც მსოფლიოს ამცნობს პლანეტის მორიგი სპორტული ფესტივალის დაწყებას. ოლიმპიური ქარტიის თანახმად ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა საერთაშორისო კომიტეტს 1988 წლის 17 იანვრამდე უნდა წარუდგინონ განაცხადები ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე.

ჰაიდარაბადი. ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. მეორე ტურში იუსუპოვმა ნიკოლიჩთან (იუგოსლავია) შეხვედრა ყაიმით დაამთავრა და 1,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. სოკოლოვი დაუზადა ჰიუბნერს (გფრ), ლუბოევიჩი (იუგოსლავია) — ტიმანს (ჰოლანდია), კორჩნოისა (შვეიცარია) და ანდერსონს (შვეცია) პარტია კი გადაიდო. ორი ტურის შემდეგ ჰიუბნერს, სოკოლოვს და ტიმანს თითო ქულა აქვთ, ანდერსონსა და ნიკოლიჩს — ნახევარ-ნახევარი და თითო გადადებული პარტია, ლუბოევიჩს — 0,5, კორჩნოის კი ორივე პარტია აქვს დასამთავრებელი.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 21 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებზე. 16.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ომებშეობები“. 20.20 — მოამბე. 20.55 — მხატვრული ფილმი „გეპატენე პირველი სიყვარული“.

სამშაბათი, 22 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებზე. 16.25 — „გარდაქმნის კურსი“. დოკუმენტური ფილმი „განახლების ჟამი“. 17.15 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ და ილია“. ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო. 18.00 — „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელებისათვის. 18.40 — კალათბურთი საკავშირო ჩემპიონატის წინ. 19.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.40 — მოამბე. 20.15 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა ლიტვა“ — ლიტვის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.55 — სატელევიზიო ფესტივალი „სიცილი ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „მარად თქვენი“.

მეორე პროგრამა. 16.15 — მხატვრული ფილმი „ქვაშის საათი“. 17.40 — განცხადებები. 17.45 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთელი ჩემი გეოგრაფია“. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბენნინის ჩამომსხმელი“. 19.40 — მოამბე. 20.15 — „ვით ლუარას სული“. ფერენც ლისტი. 20.55 — კონცერტი „თქვენი თხოვნით“.

ოთხშაბათი, 23 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებზე. 16.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 16.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მეთუნეები“. 17.05 — რეკლამა. 17.15 — მოსწავლეთათვის. „ზაფხულის მელოდიები“. 17.40 — განცხადებები. 17.45 — აგრომრეწვი მოქმედებს. „ჩვენი სოფელი“. 18.15 — მუსიკალური გადაცემა „თეთრი ღამეების გრანპა“. 19.15 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“ (ხარკოვის ტელევიზიის პროგრამა). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მზე ჩემს მამულში“ (აჭარა) 20.55 — სტუდია „დიალოგი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — „კალათბურთის ვარსკვლავები“.

მეორე პროგრამა. 16.10 — მხატვრული ფილმი „კოცონი თეთრ ღამეში“. 17.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. „სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ვიქტორ გრომოვი“ და „მიწა, ბალახი და ჩვენ“. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — მხატვრული ფილმი „სპრძოლო მანქანის ეკიპაჟი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „მხიარული რომანი“.

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 11.10 — საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი (მ.). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — კინოჟურნალი „ბინდი ყველაფერი ვიცოდე“. 16.35 — განცხადებები. 16.40 — დოკუმენტური ფილმი „რეციდივი“. 16.55 — „ბავშვი — ყველაზე დიდი საზრუნავი“. 17.45 — ხალხური შემოქმედება. „სარედაქციო ფონდიდან“. 18.30 — „გარდაქმნის წანაგები“ (მეჩაიეთა პრობლემები). 19.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის — „საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“ (დნეპროპეტროვსკის ტელევიზიის პროგრამა). 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — დონეცკის „შახტიორი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დრო (20.40) — კინოჟურნალი და „წერილის დღე“. 21.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მზე ჩემს მამულში“ (აჭარა). 21.50 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „რასაც დასთეს“.

მეორე პროგრამა. 16.10 — მხატვრული ფილმი „შორეული ავფთქების ექო“. 17.25 — დოკუმენტური ფილმი „მხოლოდ ის, ვინც მოქმედებს“. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მზე ჰირს იბანს“. 19.25 — მოამბე. 20.00 — მხატვრული ფილმი „პაერის გამყიდველი“.

პარასკევი, 25 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოჯახური ტრადიცია“. 16.55 — განცხადებები. 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „მზე, ანდრეიკა და სიბნელე“. 17.10 — „ფიქრები მეთუნეობაზე“. 18.05 — პრემიერა ქართული დოკუმენტური ფილმისა „ბოროტების სათაე“. 18.15 — „გარდაქმნის წანაგები“. „აღმასვლის საფეხურები“. (წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა). 18.50 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“. (ლენინგრადის ტელევიზიის პროგრამა). 19.25 — მოამბე. 20.00 კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — კინოჟურნალი. 21.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მზე ჩემს მამულში“ (აჭარა). 21.50 — საქართველოს სანაოსნო ციხეფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — მხატვრული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შეხვედრა“. 17.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „ორკესტრის გარეშე“ და „ქალაქის ახლოს“. 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეცხრე ტალღა“. 19.25 — მოამბე. 20.00 — „კინოკადრები, რომლებიც ფილმში ვერ შევიდა“. 20.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „აღმოსავლური თქმულება“.

შაბათი, 26 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრებს ეკრანებზე. 10.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ურალის ქალაქის ეტიუდები“. 10.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის. „ხალხთა მეგობრობის ფესტივალი“ (როსტოვის ტელევიზიის პროგრამა). 11.30 — „გახსენება“. აკაკი ფალავა. 12.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. კამერული მუსიკის ფესტივალი „ღამის სერენადები“. 13.10 — ქართული ფოლკლორის მოამაგენი. თედო სახოკია. 13.50 — სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი „ხომლი“. 14.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.00 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უშრეტი წყარო“ (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.45 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.30 — შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 17.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.15 — ხალხური შემოქმედება. საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი. 18.45 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბავშვო პროგრამების საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი „მეგობრობა გზად და ხიდად“. (სვერდლოვსკის ტელევიზიის პროგრამა). 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ცსკა. რეპორტა